14б
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

3
1976

# საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის

ქაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალი თვალსაჩინო ეტაპი — მეათე ხუთწლედი დაიწყო 1976 წლიდან. თუ რაოდენ გრანდიოზული იქნება საბჭოთა ხალხის წინსვლა დიადი მიზნებისაკენ, ამაზე ნათლად მეტყველებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი სკკპ XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“. ეს ისტორიული დოკუმენტი შემუშავებულია ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობისა და მისი განვითარების ტენდენციების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები მუდამ ითვალისწინებდა პარტიის მიერ დასახული ძირეული, ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტას, ეს ამოცანები გამომდინარეობენ მშრომელი ხალხის ინტერესებიდან და განვითარების ამა თუ იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ვითარებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეათე ხუთწლედში საბჭოთა ეკონომიკის აღმავლობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას, პარტია ითვალისწინებდა იმ მნიშვნელოვან წარმატებებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მიაღწიეს გასულ ხუთწლედში. საბჭოთა მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანები. ამ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა ვითარდებოდა გაცილებით უფრო ეფექტურად, ვიდრე წინა ხუთწლედებში. მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების მასშტაბები და ამაღლდა მისი ტექნიკური დონე, განმტკიცდა სახალხო მეურნეობის დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაჩვენებლები.

სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შეს-

მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება 1980 წელს მიაღწევს: ელექტროენერგიისა — 1340-1380 მილიარდ კილოვატ საათს, ნავთობის მოპოვება გაზის კონდენსატთან ერთად — 620-640 მილიონ ტონამდე, ქვანახშირის მოპოვება 790-810 მილიონ ტონამდე, ფოლადისა — 160-170 მლ ტ., მზა ნაგლინისა — 115-120 მლ ტ., ავტომობილი — 2,1-2,2 მილიონ ცალამდე, ტრაქტორების — 580-600 ათას ცალამდე, ცემენტისა — 143-146 მილიონ ტონამდე, ქსოვილების — 12,5-13,1 მილიარდ კვადრატულ მეტრამდე, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 1800-1900 მილიონ ცალამდე და სხვ.



რულება ნიშნავს, რომ საბჭოთა ეკონომიკამ მიაღწია თავისი განვითარების ახალ მიჯნებს. ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დონე საშუალებას იძლევა დაისახოს ახალი მნიშვნელოვანი ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“ ემყარება ქვეყნის მნიშვნელოვნად გაზრდილ ეკონომიურ პოტენციალს, საბჭოთა მეცნიერების განვითარების, ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს, მთელი საბჭოთა ხალხის შრომით მიღწევებს.

მეათე ხუთწლედში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებების პროექტისათვის დამახასიათებელია:

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულებებისა და მასშტაბების განსაზღვრა ღრმა მეცნიერულ საფუძველზე;

დასახული გეგმების წარმატებით განსახორციელებლად გზებისა და მეთოდების დასაბუთებულობა;

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების შემდგომი რეალური ზრდა;

სოციალურ-ეკონომიური ამოცანების დასაბუთებულობა.

უახლოეს პერიოდში საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის მიზანი ნათლადაა ჩამოყალიბებული მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანაში. — „მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში — საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელება“. პარტიის მიერ დასახულ ძირითად მიმართულებათა პროექტში განსაზღვრულია ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და ეკონომიური რაიონის ეკონომიკის ახალი აღმავლობის, მშრომელთა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების, საწარმოო ძალების განლაგების, საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიური ურთიერთობის ამოცანები.

პარტიის მიერ დასახული მთავარი ამოცანა განპირობებულია სოციალიზმის ობიექტური, ეკონომიური კანონების და, პირველ რიგში, მისი ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედებით. სწორედ ამ კანონების შეცნობა და გამოყენება არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის საფუძველი. მთავარი ამოცანიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება კომუნისტური პარტიის დევიზი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

პარტიის ამ დევიზის განსახორციელებლად ძირითად მიმართულებათა პროექტში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი — მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი მეათე ხუთწლედში გაიზრდება 24-28 პროცენტით.



ახალ ხუთწლედში აშენდება 545-550 მლ. კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი

მეათე ხუთწლედში წარმოების მოცულობის ზრდა საშუალებას იძ ლევა ცხოვრების დონე — რეალუ რი შემოსავალი ერთ სულ მო სახლეზე გაიზარდოს 20-22 პრო ცენტით. დასახულია, რომ მუშა მოსამსახურეთა საშუალო ხელ ფასი გადიდდეს 16-18 პროცენ ტით და ხუთწლედის ბოლოსა თვის მიაღწევს 170 მანეთამდე თვეში. კოლმეურნეთა შრომი ანაზღაურება საზოგადოებრივი მეურნეობიდან საშუალოდ 24-2 პროცენტით გაიზრდება, მნიშვნე ლოვნად გადიდდება აგრეთვე დახმა რებები და შეღავათები, რომელიც მოსახლეობას გაეწევა საზოგადოე ბრივი ფონდების ხარჯზე. მოხმარები საგნების წარმოების გაფართოების მოსახლეობის შემოსავლის ზრდი და სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილურობა საშუალებას იძლევ სახელმწიფო და კოოპერაციუ ლი ვაჭრობის საცალო საქონ ელბრუნვა გაიზარდოს 27-29 პროცენტით, ამავე დროს საჭირო პირობების შექმნისა და სასაქონლო რესურსების დაგროვების კვალობა-


# პიონერი

3

მარტი

1976

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა




აშენდება სკოლები 7 მილიონი მოსწავლისათვის

ზე შემცირდება ცალკეული საქონლის ფასები. მნიშვნელოვნად გაიზრდება აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა. ძირითად მიმართულებათა პროექტის მიხედვით მნიშვნელოვანი სამუშაოებია განსახორციელებელი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინებით უზრუნველსაყოფად.

ამ მიზნით ახალ ხუთწლედში აშენდება 545-550 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი.

ძირითად მიმართულებათა პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სახალხო განათლების განვითარების საკითხებს. 1976-1980 წლებში აშენდება ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, დაახლოებით 7 მილიონი მოსწავლისათვის. კიდევ უფრო გაფართოვდება პიონერთა სასახლეების და სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა, სპორტული და მუსიკალური სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის სისტემატური ამაღლება უზრუნველყოფს პიროვნების შემოქმედებით შესაძლებლობათა სრულ გამოვლენას, ეს კი საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ხელშემწყობი პირობაა. სოციალისტური წარმოების განვითარება საშუალებას გვაძლევს თანდათანობით დავაკმაყოფილოთ ყველა მშრომელის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები.

X ხუთწლედის მთავარი ამოცანის განხორციელებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, რადგან ის წარმოადგენს წარმოების განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გადამწყვეტ პირობას. მეათე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში უნდა გაიზარდოს 30-34 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში 27-30 პროცენტით, მშენებლობაში — 29-32 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 18-20 პროცენტით. ამასთან ერთად ეროვნული შემოსავლის მატების 85-90 პროცენტი მიღებულ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ცნობილია, რომ მრეწველობა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის წამყვან დარგს. სოციალისტური ინდუსტრიის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვან პროდუქციაზე, უზრუნველყოს ყველა დარგში წარმოების ტექნიკური განახლება და ინტენსიფიკაცია. ხუთწლედის მანძილზე მრეწველობის პროდუქციის გამოშვება უნდა გაიზარდოს 35-39 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებებისა — 38-42 პროცენტით და მოხმარების საგნებისა — 30-32 პროცენტით.

მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება 1980 წელს მიაღწევს: ელექტროენერგიისა 1340-1380 მილიარდ კილოვატ საათს, ნავთობის მოპოვება გაზის კონდენსატთან ერთად 620-640 მილიონ ტონამდე, ქვანახშირის მოპოვება 790-810 მილიონ ტონამდე, ფოლადისა — 160-170 მლ ტ. მზა ნაგლინისა — 115-120 მლ ტ. ავტომობილებისა—2,1-2,2 მილიონ ცალამდე, ტრაქტორებისა— 580-600 ათას ცალამდე, ცემენტისა—143-146 მილიონ ტონამდე, ქსოვილებისა—12,5-13,1 მილიარდ კვადრატულ მეტრამდე, ტრიკოტაჟის ნაწარმისა —1800-1900 მილიონ ცალამდე და სხვა.

ბონდო ქავთარია.
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

მხატვარი შ. ჭავჭავაძე.




ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 24%-28%-ით.



ელგუჯა მერაბიშვილი

მოთხრობა

მხატვარი ზ. ფორჩხიძე.

სქელი პაკეტი ჩანდა, ცალი კიდე ჰქონდა წახეული და ისე იყო გახსნილი. ჯუბიმ გამოართვა და მისამართს დახედა:

„მეგობარო, ძმაო, დაო, საბჭოთა ადამიანო. ვინც ამ ბარათს ჩაიგდებს ხელში, ძალიან გთხოვთ, გააგზავნოთ მისამართით:

საველე... (აქ უკვე აღარ ეტყობოდა ნაწერი).

პოლკში ყველა მიცნობს...“

უცნაური ქაღალდი იყო, პერგამენტივით სქელი, შიგნიდან შავი, თვითონ კარგად გაეძლო დროისათვის, ოღონდ ტექსტი ვერ შემოენახა.

— ახლა შიგნით ნახე, რა დევს, — შეახსენა ოსკარმა.

ჯუბიმ კიდე გაუწია კონვერტს და იქიდან ლითონის საგანი ამოიღო. ჩვეულებრივი სათუთუნე იყო, თვითნაკეთი, ალუმინის ფურცლისაგან დამზადებული. სახურავზე დანის წვერს თევზიფხური წვრილი ორნამენტით გამოეყვანა რუსული ბეჭდური ასოები:

«Вскрыть после моей смерти».

ქვემოთ კი ქართულად იყო მიწერილი: „მე ჰდე ვარ...“

ჯუბი ისევ კონვერტს მიუბრუნდა, ხმამაღლა გადაიკითხა შემორჩენილი ტექსტი და დაფიქრებით თქვა:

— სადღაც წამიკითხავს, ზღვაში ან ოკეანეში როცა ადამიანები იღუპებიან, ბოთლში დებენ უკანასკნელ წერილს და თავდალუქულ ბოთლს ტალღების ზედაპირზე ტოვებენ. რატომღაც ასეთ წერილს მაგონებს ეს ბარათი... სად იპოვეთ?

— პირად არქივში აღმოვაჩინე, ამას წინათ წითელ კერპთან რომ ვახსენე, დეიდა გლიკერიას ბინაში. მისმა ერთ-ერთმა ჩანაწერმა მიმაგნებინა, — უპასუხა ელისამ.

— კონვერტზე მინაწერიდანვე ჩანს, რომ ამის პატრონს იგი არავისთვის არ გადაუცია, როცა უჭირდა, უკანასკნელ წამს სადღაც დატოვა ბედის ანაბარად... „მეგობარო, ძმაო, დაო, საბჭოთა ადამიანო“, რაკი ასე აწერდა იმ ქარიშხლიან დღეებში, სწორედ რომ ბედის იმედი ჰქონია, — ჯუბიმ ოსკარს შეხედა, რას იტყვისო.

— მეც ბევრი ვიფიქრე. წუხელ რიგიანად არც კი მძინებია. აი აქ, სიტყვა „საველე“ რომ წერია, გამადიდებელი შუშით ვჩხრიკე, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინე. ალბათ თავის დროზე საველე ფოსტის ნომერი ეწერა — სამხედრო ნაწილის მისამართი. ეგ რომ ამოგვეკითხა, შეიძლებოდა ბევრი რამისათვის მიგვეკვლია საბჭოთა არმიის არქივის დახმარებით, — ოსკარი. მხოლოდ ჯუბის ეუბნებოდა ამას, ჩანდა, დანარჩენებთან ადრეც ბევრი იმსჯელა ამ საკითხებზე.

— საყრდენი მომეცი და დედამიწას გადავაბრუნებო, უთქვამს არქიმედს, ეს საყრდენი არა გვაქვს სწორედ. — დაიჩივლა გრიზლიმ, — სათუთუნეზე, ქვემოთ, რა აწერია, ქართულია?

სამივემ ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალებით შეხედეს ჯუბის, მან თავი დააქნია და, როგორც შეეძლო, უთარგმნა ქართული ფრაზა: „მე ჰდე ვარ“.

— საინტერესოა, ისევ ის ქართველი თუა, ვალიკო გელიაშვილი, მაგ სათუთუნეს პატრონი, — თქვა ელისამ.

ჯუბიმ გახსნა დაუპირა სათუთუნეს.

— ასე იოლად ვერ გააღებ, საიდუმლო საკეტი აქვს, — გრიზლიმ ჯიბის დანა ამოიღო, სახრახნისი გამოსწია და სათუთუნე გამოართვა ჯუბის.

— იცით, შიგ რა არის? — იკითხა ჯუბიმ უმისამართოდ.

— მაშ როგორ! მაშინვე გავხსენით, — თქვა გრიზლიმ, სახრახნისი მარჯვედ მოარგო მცირე ნაპრალს და სათუთუნე ტკაცუნით გადაიხსნა.

ოსკარმა ხელი შეაშველა, წამოპირქვავებული სათუთუნიდან მის ხელისგულზე ცელოფანში შეხვეული წიგნაკი თუ ფურცლების დასტა დაეცა.

ელისამ ფაქიზად შემოაცალა ცელოფანი და ჯუბის გადახუნებული ცისფერყდიანი ბლოკნოტი გაუწოდა.

ჯუბიმ ხელში შეატრიალა ბლოკნოტი, ფრთხილად ასწია ყდა და თავფურცელს დახედა... მაშინვე გულზე შემოენთო ქართული სიტყვები:

„მე ჰდე ვარ ჯერ ცოცხალი. სხეულზე ნატყვიარები მაჩნია, ხოლო სულზე — ნაფიქრი“.

ეს ალბათ ეპიგრაფი იყო, დაბლა კი უფრო მსხვილი ასოებით ეწერა: „ჟურნალისტის ჩანაწერები“.

— რაო? — ფიქრი აღარ აცალეს, გარს შემოეჯარნენ ამხანაგები.

— ჟურნალისტის ჩანაწერებია, — უპასუხა და ეპიგრაფი უთარგმნა.

— ავტორის გვარი არა ჩანს? — ელისას სახე წამოსწითლებოდა, აჩქარებული სუნთქავდა.

ჯუბიმ ბლოკნოტი გადაფურცლა, შიგნით პეწი შემორჩენოდა პრიალა, უჯრულა გვერდებს. წვრილი და

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1, 2.

ლამაზი ნაწერი იისფერი. გვირისტივით გასდევდა მიმქრალ ხაზებს. ზოგან ქიმიური ფანქრით იყო ნაწერი, ზოგან — მელნით. პირველი გვერდებიდან ჩანდა, რომ ავტორი ჯერ სხვა ფურცლებზე წერდა, შემდეგ კი ბლოკნოტში გადაჰქონდა. მაგრამ მერე და მერე გახშირდა ნაუცბათევი ჩანაწერები. ბოლო გვერდები კი ნაჩქარევი ხელით იყო შევსებული.

— ავტორის გვარი გამოკვეთილად არსად ჩანს, ჩანაწერები კი ომის პირველივე წლებიდანვე იწყება.

— შიგნით, ტექსტში იქნება ნახსენები, — გამოთქვა ვარაუდი ოსკარმა.

— მაშინ დამიტოვეთ. ასე უცბათ როგორ წავიკითხავ.

— ჯუბი ისევ ფურცლავდა ბლოკნოტს.

კვლავ წვიმდა. კარნიზქვეშ შეფარებულებს ზოგჯერ აწვიმდათ კიდეც. მაგრამ ისე იყვნენ გართულები, რომ ვერ ამჩნევდნენ.



— ჩვენ სწორედ ამ მიზნით ჩამოვედით. გვინდა დაგიტოვოთ ეს ბლოკნოტი — გულდასმით წაიკითხავ და მერე გვითარგმნი. კარგი?

ოსკარს, ეტყობოდა, ჩვევად ჰქონდა დაყინებული კითხვა სიტყვა „კარგით" დაემთავრებინა, რაც აუცილებელ დასტურს მოითხოვდა.

— კარგი, — შესცინა ჯუბიმ.

ბავშვებმა წასვლა დააპირეს.

— მაშ ასე, სათუთუნე ელოდება თავის შიგთავსს. ოღონდ თარგმნითურთ, ჩვენს მუზეუმს მხოლოდ სრულყოფილი ექსპონატები სჭირდება, — უთხრა გრიზლიმ გამოთხოვებისას ჯუბის.

კიბესთან დაემშვიდობნენ ერთმანეთს. შებრუნდი, ნუღარ სველდებიო, შეუძახეს ჯუბის და აქამდე იღლიაში ამოჩრილი თხელი ლაბადები წამოისხეს.

ჯუბი კიბის თავზე შეჩერდა და თვალი გააყოლა მეგობრებს, რომლებიც მოულოდნელად გამოტყვრნენ ამ შავი ღრუბლებით ჩაბნელებული ტრამალებიდან, სულისშემძვრელი ამბებით ააფორიაქეს იგი და ახლა აუჩქარებლად გადიოდნენ ჭიშკარში.

ცელოფანში შეხვეული ბლოკნოტი ორივე ხელით ეჭირა. ბიჭი მეოცნებე თვალებით გაჰყურებდა [illegible] და ეგონა, რომ ხელთ ჰყავდა უცხო ფრინველი, რომელიც შორეული გზებით იყო ნაფრენი და [illegible] ღლილს მის ხელებში ჩაებუდა.

ჯუბიმ სივრცეს მოსწყვიტა მზერა, გულზე მიიხუტა „დატყვევებული უცხო ფრინველი" და შესასვლელისაკენ გაემართა.

## ნაწილი მეორე
## შავი გედები

„გინახავთ ვინმეს?.. შეგიმჩნევიათ?
ცის გახსნა ენახეთო, გამოგონილ ამბებს ჰყვებიან.



მხოლოდ წამის რაღაცა მონაკვეთში იხსნება და მერე ისევ იკვრებაო ბზარი ცისა. მე კი ნამდვილად ვნახე იგი — თურმე იმად ჩნდება ბზარი შენი თვალთახედვის ცაზე, რომ წამიერად დაგანახოს ბავშვობასა და სიჭაბუკეს შუა გავლებული უჩინარი ზღვარი.

გინახავთ ვინმეს?.. შეგიმჩნევიათ?

ერთხელ დაინახავ, მერე გაქრება, მაგრამ ყოველთვის გრძნობ მის არსებობას — გინდა დაუბრუნდე ბავშვობის პირვანდელ ნაკრძალს, ხან ღრუბლის რაშით მიადგები, ხან ცისარტყელას ფერადი თაღოვანი ხიდით, მაგრამ აღარ ძალგიძს ამ უჩინარი ზღუდის გადალახვა.

●

— ქიმია გვიცდება, — ვახარე ნანულის.

მაგრამ ნანულის სულაც არ გახარებია, ზედაც არ შემოუხედავს. ფანჯარასთან იდგა დაფიქრებული, მკერდზე დაცურებული მსხვილი ნაწნავი ეჭირა და თითზე იხვევდა.

— შენ რაო, არ გიხარია? — ჩავაცივდი.

შემომხედა და ამოიოხრა.

— მამაჩემის წერილი მოგვივიდა გუშინ. რომ იცოდე,

რას იწერება... დღეს-ხვალ დაიკეტებაო ლენინგრადში შემავალი ერთადერთი გზა, „სიცოცხლის გზას“ რომ უწოდებენ იქაურები.

— გერმანელებს წინ წამოუწევიათ?

— არა, ლადოგის ტბის ყინული ლღვებაო. თურმე ნახევრად წყალში დატოპავენ მანქანები. აქედან სურსათი შეაქვთ, იქიდან კი ნაშიმშილევი ბავშვები გამოჰყავთ, რა ეშველებათ, თუ ვერ გამოიყვანეს!..

მაღალი გოგო იყო ნახული, გამხდარი და შავყვითელა, მკლავებზე მსხვილი მოუჩანდა წაბლისფერი ნაწნავი. საკვირველი იყო, საიდან ჰქონდა ასეთი ხუჩხუჩელა მხვიარა თმა.

— ნეტა აცივდებოდეს მაინც, — ცას ახედა, — ცოტას მაინც შეაჩერებდა ყინულის ლღობას.

— აცივება კი არა, შეტევაა საჭირო, აი ისეთი, მოსკოვთან რომ დავიწყეთ. ერთი ლენინგრადიდანაც ვასროლინოთ კუდით ქვა.



— ახლა მოთბა და ქვეწარმავლებივით მომძლავრდებიან ფაშისტები.

გაკვირვებულმა შევხედე. რა კარგად თქვა!

— ქიმია გვიცდება, იცი?—ზურგიდან მომადგა ტარიელა, — ქიმიაც და გერმანულიც.

ახლაღა გამახსენდა, რომ გერმანულიც მიხო მასწავლებელს ჰქონდა წლეულს. მოგვადგებოდა და სულ იმას ჩაგვჩიჩინებდა, სტალინმა თქვა მტერი თუ გინდა დაამარცხო, მისი ენა უნდა ისწავლოო. სწავლებით კი ბევრს ვერაფერს გვასწავლიდა.

— წავიდეთ, რას უდგეხარ, — შემანჯღრია ტარიელამ.

წინ გამიძღვა. ქვის კიბე ჩავირბინეთ, მზით განათებულ მოლზე გავედით და ყვინჩილებივით დავიწყეთ ძიძგილაობა.

— იცი, რად გვიცდება? — მითხრა აქაქანებულმა, როცა ჭიდაობას თავი დავანებეთ, — მიხო მასწავლებელი ხეობისაკენ უცხო ფრინველებს გასდევნებია. გინდა ჩვენც წავიდეთ?

— სად?

— ტბისკენ. იქ ალბათ მთელი ამბები ტრიალებს ახლა.

ხელიხელჩაკიდებულები გავიქეცით გასხვლულისაკენ იქვე კოლმეურნეობის კალოები იწყებოდა. ძნებს მოვეფარეთ და უკვე სამშვიდობოს ვიგრძენით თავი. მე ძნაზე ავცოცდი, ცოტა შევიმაღლე და იქიდან დავიწყე ყელყელაობა. მაინტერესებდა, ზარის შემდეგ თუ ვინმე შევიდოდა ჩვენს კლასში.

ამასობაში ტარიელამ თეთრი, შავად დაწინწკლული ულაყი მოაგელვა და ჩემს ახლოს შეაჩერა. უკან შემოვუჯექი და მაშინვე ოთხით დავძარით.

— ზედ ცხვირწინება ლუკას, იქიდან ავაცალე, — მეტრაბახებოდა ტარიელა, როცა აქოშინებული ცხენი ნაბიჯზე გადავიყვანეთ.

უკვე სერზე ავდიოდით, რომლის გადაღმა ტბა უნდა გამოჩენილიყო. გადავივაკეთ, ვიდრე კორდზე ზიგზაგად ჩაკაწრულ გზაზე დავეშვებოდით, თელებთან შევაყენეთ ცხენი და ტბას გადავხედეთ. თვალსაწიერზე არავინ ჩანდა.

— ჩასაფრებული იქნება, — გამოთქვა ვარაუდი ტარიელამ და დავიძარით.

ხშელი ლელიანი ნელა შრიალებდა. ოვალურ ჩარჩოში ჩასმულ დიდ სარკეს ჰგავდა ტბა. უეცრად ტბისპირა ლაქაშებიდან ვეება, თეთრი ფრინველი აფრინდა, ზანტად აიწია ჰაერში და ჭალიანების თავზე იწყო ტრიალი.

ჩვენ ისევ უცხო ფრინველის ფრენას ვადევნებდით თვალს, რომ რაღაცამ დაარღვია ლელიანის თანაბარი ღელვა და ნაპირზე გამოსული მიხო მასწავლებელი დაგვიდგა წინ. შუბლზე ხელი მოიჩრდილა და ახლოს მოდგა.

— ოჰ, პაჭანიკებო, თქვენა ხართ? ჰაი, თქვე მამაძაღლებო, ბრაკონიერი გეგონეთ და თავს დამიარეთ არა? — მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, წარბი შეიკრა, — მოიცა, მოიცა, თქვენ ახლა აქ რა გინდათ, გაკვეთილებს აცდენთ?

— თქვენი გვიცდება, პატივცემულო, — არ დაიბნა ტარიელა.

წელქვევით ლორთხი იყო მიხო მასწავლებელი, უკახ გადაწეულ ჭაღარა თმაში ლელის ღეროები გახეროდა. პროთეზი აღარ უჭრიალებდა სიარულისას, ეტყობოდა, დასველებულიყო. წვრილი, ჩაბჯუტული თვალები და დიდი შუბლი ჰქონდა, ყვითელი ფერი გადაჰკრავდა ჩამომჭკნარ სახეზე.

— ამ ოხრების დევნამ გადამიყოლა და, ხედავ, როგორ გავრთობილვარ? ჯიბიდან საათი ამოიღო და დახედა

— რა ფრინველებია, პატივცემულო?

— გედებია. თეთრი გედები. ორი წყვილია და კიდევ ერთი ჰყავთ კენტად აღევნებული. ეგ მაფიქრებს, რაღაც ფინთად დაბორიალებს ამ ლელიანთან. ხომ არავინ ესროლა-მეთქი, მაეჭვებს. ერთი კიდევ რა მიკვირს: ეს ფრინველი ჩემს ხსოვნაში არ მინახავს ამ მხარეში, ზღვების ნაპირებზე კი ჩრდილოეთის ტბებისაკენ მიფრინავენ... თუმცა რაღაა გასაკვირველი, ქვეყანა აირია და ამათაც ვეღარ გაიგნეს გზა, — ხელი ჩაიქნია, თითქოს გონს მოვიდა — ამას რას ჩავდივარ, თქვენისთანა ყალთაბანდებს აქ ლექციას ვუკითხავ, იქ კი გაკვეთილები მიცდებაო.

ცხენი გამოგვართვა, მოახტა და ახლა მაღლიდან დაგვ-

ძახოდა: მალე ჩამოდით, ყველა გაკვეთილს ნუ გააცდენთო.

ჩვენ ლელიანისაკენ წავედით გედების სანახავად. მიხო მასწავლებელმა ხმას აუწია:

— ჩემი გაქექილი ბილიკით შედით, ოღონდ ძაან ნუ დაუწყებთ ჭყეტას. მეველე თუ შეგხვდეთ, ჩემი სახელით გადაეცით, ახლოს არავინ გააკაროს მაგ ფრინველებსა. ბუდაობას აპირებენ და ხელი არ შეუშალოთ-თქო, — ამას უკვე თოხარიკით მიმავალი ცხენიდან გვეძახდა.

— მადლი მომივიდა, არა? — შემომცინა ტარიელამ და გაჭენებული ცხენისაკენ გამახედა, — ჩავიდეს ლუკასთანა, ის აჩვენებს სეირს.

ლელიანი მაღალი იყო. ნიჩბებივით ვხმარობდით ხელებს, განზე ვწევდით ლელს და წინ მივიწევდით, სანამ კამკამა წყალს არ წავადექით.

მზეზე ბზინავდა წყალი, თვალს გვჭრიდა. ჩვენგან მოშორებით, ლელიან ნაპირთან, პატარა ჩეროში ორი კისერყარყარა თეთრი ფრინველი დაცურავდა, ხამუშად წყალში ყოფდნენ თავებს და მერე თავაწეულები ისუსნებოდნენ. შემდეგ მეორე წყვილიც დავინახეთ, ისინი უფრო შორს იყვნენ და ისე მკაფიოდ არ მოჩანდნენ, ახლა დაცალებული გედის ნახვა მოგვინდა, ლელიანიც ვჩხრიკეთ, რამდენიც შევძელით. ერთგან თეთრი ბუმბულიც ვნახეთ და ამან უფრო გაგვიცხოველა ინტერესი. ცალ-ცალკე დავიწყეთ ძებნა. მაგრამ მალე გაგვიცრუვდა იმედი. მე უკვე გამოვედი ლელიანიდან, როცა ტარიელას ყვირილი მომესმა:

— ვახ, ბიჭო, ამას რას ვხედავ! ვალიკო, მოდი, რა გაჩვენო...“

ჯუბიმ კითხვა შეწყვიტა, განგებ ხმამაღლა გადაიკითხა ბოლო წინადადება და დაფიქრდა.

„ვალიკო“?. ნუთუ ის არის?.. ვალიკო გელიაშვილი... ეს ნაწერებიც ხომ წითელი კერპის სიახლოვეს აღმოაჩინეს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ვეჩერნიცას მიდამოებში პარტიზანთა შორის ორი ქართველი იყო და ორივეს ვალიკო ერქვა... ის იქნება“.

ჯუბი გოგონების პალატისაკენ წავიდა გაშლილი ბლოკნოტით ხელში, კარი შეაღო და ვესტას დაენახა. გოგონა დერეფანში გამოვიდა და მაშინვე იკითხა, რა მოხდაო.

— აღმოვაჩინე ამ ჩანაწერების ავტორი, მაგრამ სანახევროდ.

— არაფერი მესმის, — ვესტამ გამხდარი მხრები აიწურა.

— მხოლოდ სახელია ნახსენები, გვარი არა ჩანს.

— სახელი ხომ ემთხვევა?

— კი, ემთხვევა, მაგრამ ვაითუ ის არ იყოს.

ვესტას ეშმაკურად აუციმციმდა თვალები.

— განა სულ რამდენნი ხართ, ჩვენი არ იყოს, რომ მთელ რუსეთში იყავით გაფანტულები ომის დროს და ორ-ორი ვალიკო აქ აღმოგაჩნდათ, წითელი კერპის მისადგომებთან.

— მეც ვიფიქრე მაგდაგვარი რაღაც, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“. მარტოკა რომ კითხულობ, იმის ბრალია. გეტყობა, საინტერესო ამბებს [illegible], რომ ცხვირს აღარ ჰყოფ პალატიდან. წამაკითხებ?

— მაცალე ბოლომდე მივიდე, მერე [illegible] სულად თარგმნილს გიკარნახებ, ასე არ [illegible]

— კი დავთქვით, მაგრამ რომ აღარ მეღირსა ეს კარნახი! ახლა წავალ, გრიზლის გამოვიძახებ ტელეფონთან, ამ ახალ ამბავსაც ვეტყვი და შენც გიჩივლებ. — ვესტა ხუმრობდა და არც ხუმრობდა. გამომწვევად ეჭირა თავი. კარგ გუნებაზე იყო, დაწმენდილი ლაჟვარდივით უკამკამებდა თვალები.

ჯუბიმ თვალი გააყოლა დერეფანში მკვირცხლად მიმავალ გოგონას. უყურებდა და არ სჯეროდა, რომ ეს ის ვესტა იყო, თვალებჩაყვითლებული და დასუსტებული, როგორიც პირველად ნახა.

პალატაში შებრუნდა.

„...ლელიანში კისერგადაგდებული მკვდარი გედი იწვა. ფრთების დაკეცვა ვერ მოესწრო, ან იქნებ სიკვდილის წინ ფართხალებდა და ამიტომ თეთრი ბუმბული ტალახით ჰქონდა მოსვრილი.

— ავიყვანო? — მკითხა ტარიელამ და კისერი წამოუწია გედს, — უკვე გაფიჩხულა ეს საცოდავი.





ასე ახლოს ამხელა ფრინველი არასოდეს გვენახა. იმ ადგილებში, სადაც მოსვრილი არ იყო, თეთრად უქათქათებდა ბუმბული. ტარიელამ მძიმედ ასწია, ერთი ინდაურის წონა გამოვაო, ჩაილაპარაკა და ისევ დადო.

— რას უნდა მოეკლა? — ვიკითხე და ფრთები გავუშალე ფრინველს, სახსრები გავუსინჯე. ორივე ფრთა მთელი ჰქონდა.

ტარიელამ მე მომბაძა, გაფარჩხულ ფეხებზე აუსვა ხელი, თან ბუმბულზე სულს უბერავდა და ამბობდა, რა გალურჯებულია ეს საცოდავიო.

— ბიჭო, სისხლი! — წამოიძახა უცებ.

ბარკლის თავთან ბუმბული წითლად იყო შეღებილი. ტარიელამ გასწი-გამოსწია ბუმბული და ჭრილობას მიაგნო.

— თითქოს რაღაცა შერჭობიაო, არა? — შემომხედა.

— ნასროლია, — დაუფიქრებლად წამომცდა მე.

ტარიელა არ დამეთანხმა, კიდევ სულის ბერვით გაუსინჯა კანი ჭრილობის ირგვლივ და დაბეჯითებით თქვა, ნასროლი არ არისო. რითი ატყობ-მეთქი. იმითიო, რომ საფანტები არსად არა ჩანს, ტყვიას კი აბა ვინ ესროდა. შაშხანები მხოლოდ „გამანადგურებელი ბატალიონის" წევრებს აქვთო.

კარგა ხანს ხმაამოუღებლივ ვსინჯავდით ჭრილობას.

— იქნება ჟაკანია ნასროლი? — ვკითხე ტარიელას.

— „ჟაკანი" რაღაა?

— ტყვიაა, სანადირო თოფში დებენ. თუმცა არა, ის რომ მოხვედროდა, უფრო განიერი იქნებოდა ჭრილობა.

— მერე კიდევ, რომ ესროლა ვისმეს, მიხო მასწავლებელი გაიგონებდა თოფის ხმას, ის კი მხოლოდ ეჭვობდა, გედი რატოა დაცალებულიო.

გადავწყვიტეთ, სკოლაში წაგვეღო. ჯერ ტარიელამ ამოიდო იღლიის ქვეშ, მერე მე გამოვართვი. სოფლამდე რიგრიგობით ვატარეთ. სკოლას რომ მივუახლოვდით, გაგვეხარდა, რომ გაკვეთილი მიმდინარეობდა, თორემ ბიჭები გაგვწევდნენ და გამოგვწევდნენ ჩვენი ფრინველიანად. პირდაპირ ჩვენი კლასის ღია ფანჯარას მივადექით. მიხო მასწავლებელმა თეთრზე დაიყენა თვალები, ეს რა გიქნიათო. მერე, რომ გაიგო, რაში იყო საქმე, ცოტა დამშვიდდა.

მკვდარი ფრინველი მაგიდაზე დავდეთ. მიხო მასწავლებელმა, როგორც იქნა, დააშვიდა კლასი და ფრინველს დაუწყო თვალიერება, თან კლასი რომ გაეჩუმებინა, ხმამაღლა უხსნიდა:

— ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, თეთრი გედის ოთხი სახეობა გვხვდება: სისინა გედი, კრუალა გედი, ტუნდრისა და ამერიკული. ეს კრუალა, ანუ მომღერალი გედია... გედი მეტად უწყინარი ფრინველია, ბავშვებო, და თანაც გონებიანი. მხოლოდ წყვილებად ცხოვრობენ და სიკვდილამდე არ შორდებიან ერთმანეთს...

გასუსულები ვუსმენდით. მასწავლებლის ნათქვამმა ალბათ ყველაზე ძლიერ ჩემზე და ტარიელაზე იმოქმედა, ჩვენ ხომ ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ ეძებდა დაცალებული გედი თავის მეგობარს.

მიხო მასწავლებელმა ჯერ ნისკარტზე შეავლო ხელი. მამალი გედიაო, ჩაილაპარაკა და ისევ კლასს მიმართა:

— ჩიჩახვი ცარიელი აქვს, მშიერი ყოფილა საწყალი. ალბათ ველარ გაიკვლიეს გზა ჩრდილოეთის ტბებისაკენ, ფრონტის ხმაურმა დააფრთხო და ჩვენს ტბასთან იმიტომ დაეშვნენ...

— მასწ., რითი იკვებებიან გედები? — იკითხა ვილაცამ.

— მხოლოდ მცენარეულობითა და წყლის უხერხემლო ცხოველებით, — მასწავლებელმა ახლა ტალახში მოსვრილი ფეხები გაუსინჯა ფრინველს და გახარებულმა წამოიძახა: — აი ხედავთ?.. შერგოლილი ყოფილა, — საშრობი ქაღალდი აიღო, ფრინველს კანჭი გაუწმინდა და თვალებთან ახლოს მიიტანა.

კლასი გაინაბა. მასწავლებელმა მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა:

„ოდესა. დერიბასოვსკაია. ნორჩი ნატურალისტი. 1936 წელი".

მიხო მასწავლებელს ჩვეულებად ჰქონდა თქმა: „ხომ გითხარითო", ამ სიტყვებით იწყებდა წინადადებას, სულ ერთი იყო, ეთქვა თუ არ ეთქვა.

— აი, ხომ გითხარით, ბავშვებო. გედები ზღვების სანაპიროებზე იზამთრებენ-მეთქი. 1936 წლის ზამთარი ამ ფრინველს ოდესის ახლოს გაუტარებია. ამ ზამთარს კი ალბათ კასპიის ზღვისაკენ გადაინაცვლა...

— საწყალი მაინც ვერ გადარჩენია სიკვდილს, — ამოიოხრა ნანულიმ.

— შავი გედი თუ არსებობს, მასწ? — იკითხა მიშიკო

ორჯონიკიძემ. თვალებზევე ეტყობოდა, რომ უფრო გასართობად იკითხა.

— ის სხვა გვარეობისაა. ჰენოპსისი. და მხოლოდ ერთი სახეობისაგან შესდგება. ეს არის შავი გედი, რომელიც მხოლოდ ავსტრალიაში გვხვდება და სხვაგან არსად.

ამ გამხდარ ცალფეხა კაცს არ შეეძლო ყველაფერი არ ეთქვა ბავშვებისათვის, რაც იცოდა გედის შესახებ. და როცა ამოწურა სათქმელი, მხოლოდ მაშინღა დაინტერესდა რიგიანად, მაინც რას უნდა მოეკლაო.

— დაჭრილია, მასწ., — წამოხტა ტარიელა.

მიხო მასწავლებელმა წარბი შეიკრა, მაშინვე ფრთები გადაუწია და სინჯვა დაუწყო.

ტარიელამ ველარ მოითმინა, მიირბინა მაგიდასთან და ხელი, დაადო ჭრილობაზე. მასწავლებელმა დიდხანს სინჯა ჭრილობა. კალმისტარიც კი ჩაატარა სიღრმეზე და, გასაგებიაო, თავისთვის ჩაილაპარაკა. მაგიდას მიუჯდა და ასე მდუმარედ დაელოდა ზარს.

მოკლული ფრინველი სკოლის დარაჯს გადასცა, სარ-



დაფში შემინახეო, მე და ტარიელა თან გაგვიყოლა, და მხოლოდ ეზოს გარეთ გვითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაიქეცით ახლავე და გიგო და ილიკო მომიყვანეთ საბჭოში. შენ გიგოსთან გაიქეცი, — მითხრა მე, — შენ კი ილიკო მოძებნე, — მიუბრუნდა ტარიელას.

გიგო პაპა სახლში არ დამხვდა. ქალებმა გამომძახეს სახლიდან, ნაფუზარშია, ვენახს ყელავსო. მაშინვე იქით გავიქეცი.

საბჭოსთან რომ დავბრუნდი, ლამის ველარ ვიცანი მიხო მასწავლებელი. ხაკის ქუდი დაეხურა, მაღალქობიანი, რომელზედაც წითელი ვარსკვლავი უბრწყინავდა, ჯარისკაცური მაზარა ეცვა და ბერდანა ეკიდა მხარზე.

— წადით ახლა, — გვითხრა, როცა ტარიელამაც მოირბინა. — წადით და კრინტი არავისთან დაგცდეთ, რაზე იყავით გაგზავნილები.

— „ლაციუმის ძველი ქალაქის ალბალონგას მეფე ტყვედ იქნა ჩაგდებული", — წაუმღერა ტარიელამ.

— ვისზე ამბობ?

— ვისზე უნდა ვამბობდე, ისტორიას გიყვები.

— შენი ისტორია შენთვის შეინახე, ახლა ფიზიკა გვაქვს, — ვუთხარი და წინ წავედი.

მივედით სკოლაში, მაგრამ ნეტავი არ მივსულიყავით. ფიზიკამაც გვაწერინა და გეოგრაფიამაც. გეოგრაფიაში რვეული გამითავდა და მერე გაკვეთილის ბოლომდე ფეხზე მეყენე მასწავლებელს. ზარი რომ დაირეკა, სამასწავლებლოში წამიყვანა და უყდო რვეული გამომატანა, ყავისფერი ფურცლების დასტა იყო შუაზე გაკეცილი და ამას ერქვა რვეული. მელანს იშრობდა, მხოლოდ ფანქრით შეიძლებოდა წერა. მაინც მადლობელი ვიყავი გეოგრაფიის მასწავლებლისა. ეს კი იყო, ამხანაგებს ჩამოვრჩი, მარტო მივყიალებდი გზაზე.

სოფლის თემშარაზე, ფარდულთან ჯგროდ იდგა ხალხი. ტარიელას წიგნები იღლიაში ამოეჩარა და პირდაღებული უსმენდა ქალებს. რომ დამინახა, გზაზე გამომეგება.

— „ლაციუმის ძველი ქალაქის ალბალონგას მეფე ნუმიტორი ტყვედ იქნა ჩაგდებული".

— თუ ძმა ხარ, მომწყდი მაგ შენი ისტორიებით.

— ისტორია კი არა, დღევანდელი ამბავია.

— რა ამბავი?

— დილას ენამ მიყივლა, რომ წავუმღერე, მართლა ტყვედ ჩაუგდიათ ნუმიტორი.

— ვინ ნუმიტორი?

— გუტა დაუჭერიათ. საბჭოს გვერდით ბეღელში ჰყავთ დამწყვდეულიო, აგერ ქალები ამბობენ.

— ქალების ჭორებს აჰყევ,— ძალიან მინდოდა მართალი ყოფილიყო და ალბათ ამიტომ არ დავიჯერე.

— თუ ჭორი გგონია, წავიდეთ და ვნახოთ, რა შორს ის არის.

საბჭოსკენ წავედით.

იარაღასხმული გიგო და ილიკო კართან იდგნენ და ახლოს არავის აკარებდნენ. ჩვენთვის არ დაუშლიათ, მაგრამ ახლოს ნუ მიხვალთო, გაგვაფრთხილეს. შიგნიდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. როგორც იყო, გავარჩიეთ

ხმები: მიხო მასწავლებელი გუტას დაჰკითხავდა და ისაიაც ესწრებოდა ამ დაკითხვას.

— ისაია მაგისი ქომაგია, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— ვიცით, —მიპასუხა გიგო პაპამ.

— შენ, გუტა, ჭკუით იყავი, გეუბნები, — მუქარით ეუბნებოდა მიხო მასწავლებელი, — ის წეროებიც შეგრჩეს, ამ ორი კვირის წინ რომ ჩამოყარე. გგონია არავინ იცის?

— მერე რა მოხდა, მშიან და ვხოცავ, წეროზე ნადირობა ჩემთვის არავის აუკრძალია.

— მაგას არ გედავებიან, რითი ჩამოყარე?... ახლავე მოიტანე იარაღი, თორემ ცუდად წაგივა საქმე.

— რომელ იარაღს მაგულებ?

— მცირეყალიბიანი შაშხანა გაქვს.

— დამინახე?

— დაგინახე.

დუმილი ჩამოვარდა. წარმოვიდგინე, ახლა როგორ უყურებდნენ ერთმანეთს მიხო მასწავლებელი და გუტა. გუტა ამღვრეული თვალებით, გამხეცებული, მიხო მასწავლებელი კი მშვიდი და მტკიცე.

— არაფერსაც არ მოვიტან, — კბილებში გამოსცრა გუტამ.

— რა გაეწყობა, რაკი ასეა, რაიონში უნდა გადაგაგზავნო. იქ ამოგადგმევინებენ ენას, — დაასკვნა მიხო მასწავლებელმა.

ახლა ისაიას ხმა მოისმა, ჩუმი, შემპარავი, ალბათ ეხვეწებოდა, შინაურულად მოვრიგდეთო. ლამის შიგ შევუვარდი.

— არავითარ შემთხვევაში, — მოკლედ მოუჭრა მიხო მასწავლებელმა და გარეთ გამოსძახა: — შეგიძლიათ გაიყვანოთ.

ახლა კი აღმუვლდა გუტა: მიხო, თუ ძმა ხარ, რაიონის სამასხაროდ ნუ გამხდი, რაცა მაქვს, მოვიტან, ოღონდ მარტო ჩვენ ვიცოდეთო.

— არ შემიძლიან, კანონი, კანონია, — პასუხობდა მიხო მასწავლებელი.

გუტა გარეთ გამოიყვანეს. ჩვენ რომ დაგვინახა, მხეცივით აიჯაგრა, გულში მუშტი ჩაიკრა და ზურგი შეგვაქცია.

— სულიკოს ბიჭო, მოდი აქ, — გამომძახა, როცა გზაზე გავიდნენ.

ჭირივით მძულდა ეს კაცი, რა მიმიყვანდა მასთან, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მიბიძგა.

წინ წამოდგა, რომ მოხუცებს არ გაეგონათ და ჩუმად ჩამისისინა:

— შენ გგონია, იქ ჩამალპობენ? ტყუილი ვარაუდია, ორ კვირაში აქ ვიქნები. ბრალი ნიკასი, ორჯერ მოვიდა დეპეშა. აბა უნახე ძალუაშენს, — სადა აქვს ჩაკუჭული. იმას ჰგონია, არავინ იცის, ძალიან მალავს, მაგრამ რაც არ უნდა დამალოს, მე ხომ ვიცი... საბოლოოდ მაინც ჩემი გახდება თინა... — ჩაიხითხითა და გაბრუნდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

## ისინი ჩვენი კორესპონდენ[illegible]



ქეთო ლანდია,
საქართველოს რადიოს დიქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

პატარობისას ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რაჭაში, სოფელ ბარში, ერთი მოხუცი მეტყევის — თედორე ციხისელის მოყოლილმა ზღაპრებმა. მეხსიერებაში აღვადგინე ერთი ამ ზღაპართაგანი და გავასცენიურე. რადიოდიქტორმა და რეჟისორმა გივი საგინაშვილმა განახორციელა მისი რადიოდადგმა. ეს დადგმა ბავშვებს ძალიან მოეწონათ. მირჩიეს, გასცენირებული ზღაპარი საყმაწვილო ჟურნალში მიმეტანა. მეც არ დავაყოვნე და სულ მალე ,,პიონერმა" დაბეჭდა ჩემს მიერ დამუშავებული ქართული ხალხური ზღაპარი — ,,გლეხის ჭკვიანი გოგონა".

ჩემი თაობის მოსწავლეები საბჭოთა საქართველოს პირველი პიონერები იყვნენ. ჩვენს ოცნებებს, სურვილებს, შრომის წყურვილს არაფერი ზღუდავდა, ყოველ ჩვენს წამოწყებას იმთავითვე ფართო გასაქანი ჰქონდა.

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე შთამბეჭდავი ბავშვობის წლებია. ჩემდა საბედნიეროდ, ჩემი ბავშვობის წლები მეტად მდიდარი შთაბეჭდილებებით იყო სავსე. და ამ შთაბეჭდილებების პირველ წყაროდ მასწავლებელი მიმაჩნია.

შვიდწლედი დავამთავრე თბილისის მეორე შრომის სკოლაში.

ჩემი პირველი აღმზრდელი მასწავლებელი იყო სოფიო ქარუმიძე, კეთილშობილი, მოსწავლეებზე მშობლივით მზრუნავი.

სოფიო ქარუმიძეს შეეძლო ბავშვებში ნიჭისა და უნარის გამოვლენა; იგი ნებას გვაძლევდა ხმამაღლა გვეოცნება, ჩვენთან ერთად განიცდიდა ჩვენს ავსა და კარგს და ჩვენდაშეუმჩნევლად სწორი, მყარი გზისკენ გვიბიძგებდა. სწორედ მან პირველმა გვაგემა იმ დროის ძალზე პოპულარული საბავშვო ჟურნალის ,,ჯეჯილის" სიტკბო. შემდეგ წლებში ქართულ ენას გვასწავლიდა ცნობილი მოღვაწე პეტრე მირიანაშვილი, რომელმაც კიდევ უფრო გაგვიღვივა მშობლიური ენის დიდი სიყვარული და მშვენიერების გაგებააღქმა. ხშირად გვაწერინებდა თავისუფალ თემებს, რომელთა სათაურადაც ქართულ ანდაზებს იყენებდა. მაგალითად: ,,ცუდი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო", ,,კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო" და ბევრი სხვა... რა თქმა უნდა, ეს ვარჯიში ძლიერ გვივითარებდა ფანტაზიას, შემოქმედებით უნარს. არითმეტიკას გვასწავლიდა ჭარმაგი მასწავლებელი სოლომონ მესტიაშვილი, რომლის გაკვეთილები ისე წარმტაცი იყო, რომ ყველას ერთნაირად იზიდავდა, ყველა დიდი გულისყურით უსმენდა გაკვეთილს.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მახობელა

ნინო ნაკაშიძე

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე.

თქმულება

ბევრმა უთუოდ არ იცის ვინ იყო მახობა და რით ისახელა თავი.

მახობა არ იყო იარაღასხმული ზღაპრული რაინდი, არა, ის იყო ერთი უბრალო გლეხი. დედ-მამა ადრე გარდაეცვალა და დარჩა მარტოდმარტო ისლით დახურულ თავის ძველისძველ ,,ჯარგვალში''.

ჯარგვალა კიდევ მამის სიცოცხლეში იყო დაფერდებული და, რომ არ წაქცეულიყო, მახობამ მოიტანა ტყიდან ორი ბარჯგი და შეუყენა. ახლა სახურავიც გაცვდა და წვიმდა შიგ. უნდოდა სახურავი შეეკეთებინა, მაგრამ ხალისი არ ჰქონდა; უნდოდა ბოსტანი გაეკეთებინა, მაგრამ მარტო თავისათვის?

გაღმა სერზე კი ცხოვრობდა მისი მამის ძველი მეგობარი და მეზობელი, რომელსაც შვილები და შვილიშვილებიც ჰყავდა. ისინი ყველანი დილიდან საღამომდე მხიარულად მუშაობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ერთ დღეს მახობამ გადაწყვიტა წასულიყო მეზობელთან: ჩაიცვა ჩოხა, ქალამნები და წავიდა.

— კეთილო, — უთხრა მან მეზობელს, — არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო. მომწყინდა. მინდა ვიმუშაო, მინდა ბევრი რამ გავაკეთო, მაგრამ ვისთვის, რისთვის, მარტო ჩემთვის? მასწავლე რაიმე.

მეზობელი ერთხანს ჩუმად იყო, მერე უთხრა:

— შენ მართალი ხარ, მახობელა (ასე ეძახდნენ მახობას მეზობლები პატარაობიდან), მარტო ცხოვრება არვარგა. ხომ გაგიგონია: ,,მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო''. შენ უნდა ცოლი შეირთო, შვილები გეყოლება და მხიარული ცხოვრება თავისთავად დამკვიდრდება შენს ოჯახში.

— ხომ არ გეგულება, რომ წამომყვეს ვინმე? — ჰკითხა მახობამ.

მეზობელს გაეცინა:

— აი, იქნებ ჩემი ლურჯთვალა ცისანა წამოგყვეს. მე დავუძახებ და შენ ჰკითხე.

მამამ დაუძახა ცისანას.

— ცისანა, — უთხრა მან, როდესაც ლამაზი ლურჯთვალა ცისანა ცეკვითა და ცქრიალით მოფრინდა მათთან, — აი, მახობას უნდა შენთან ლაპარაკი.

— მახობას?! რა გინდა მახობა? — გაიწკრიალა ცისანას ხმამ.

მახობამ გადაისვა თავზე ხელი და თავისი სურვილი განუცხადა ცისანას.

— შენთან ვიცხოვრო, დანგრეულ ქოხში, მახობა? წვიმა რომ ჩამოდის სახურავში?

— ოო, ცისანა, ოღონდ შენ წამოდი და მე ავაშენებ კარგ სახლს.

— ჰო, ააშენე, მახობა, და მერე მოდი! — უთხრა ცისანამ.

მახობა წამოვიდა მხიარული და იმის ფიქრში იყო, როგორი სახლი აეშენებინა. ჯერ ადგილი აირჩია, შემაღლებული, საიდანაც შორს მოსჩანდა თოვლიანი თეთრი მთა, რომელსაც მაღლიდან ცისანას თვალების მსგავსი ლურჯი ცა დასცქეროდა. ,,დიახ, ეს კარგი ადგილია, — გაიფიქრა მან. მარცხნით თეთრი ქედი, მარჯვნით, ჭალაში, ფირუზისფერი მდინარე მიიკლაკნება, სახლის წინ დიდი პანტაა. ამის ჩრდილში ზაფხულობით დავისვენებთ ცისანა და მე. იქით ბოსტანს გავაკეთებ, აყვავდება ტყემალი, ნუში, ატამი.

სიმღერას გვასწავლიდა დავით კუჭაიძე, შესანიშნავი აღმზრდელი და მოღვაწე... ახლა ვგრძნობ, რა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ჩვენს ერს ამ კეთილშობილმა, დაუღალავმა ადამიანმა. მან ჯერ კიდევ პატარებს შეგვასწავლა საგუნდო სიმღერების ბევრი საუკეთესო ნიმუში: ნიკო სულხანიშვილის, ანდრია ყარაშვილის, გიორგი ჩუბინიშვილისა, აგრეთვე მრავალი ხალხური სიმღერაც. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი სკოლის გუნდი სულხანიშვილის ,,გუთნის-დედას'', ,,სამშობლო ხევსურისას'' და ყარაშვილის ,,სამშობლოს'' ისეთი ოსტატობით ასრულებდა, რომ კარგ პროფესიულ გუნდსაც კი შეშურდებოდა.

ტანვარჯიშის მასწავლებელი მიხეილ ნათაძე თვითონ იყო ტანმოვარჯიშეთა მამამთავრის გიორგი ეგნატაშვილის მოწაფე და ბავშვების წვრთნის ფუძედ მის მეთოდს იყენებდა. სავარჯიშო დარბაზის კედლებს წითელი ასოებით მოხატული ლოზუნგები ამშვენებდა — ,,ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულია'', ,,ერთი ყველსათვის, ყველა — ერთისათვის!''

ჩვენს სკოლაში ხშირად იმართებოდა ბავშვთა თვითმოქმედების დილა-საღამოები, რაც კეთილ გავლენას ახდენდა ნორჩთა მხატვრული გემოვნების დახვეწაზე.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სადაც დავამთავრე საამშენებლო ფაკულტეტი) მიტაცებდა ხელოვნება. სტუდენტთა პირველ ოლიმპიადაზე ქართულ ცეკვაში პირველ ადგილზე გამოვედი. ვმონაწილეობდი სპორტულ შეჯიბრებებში, ლიტერატურულ დისპუტებში. ერთი სიტყვით,

მახობა წავიდა ტყეში, მოსჭრა ბევრი, ბევრი წვრილი, სწორი თხილის წნელი, მოიტანა და პანტის ახლოს დაწნა სახლი, ოსტატურად და ლამაზად. მას არსად უნახავს ასეთი ლამაზი სახლი. მაგრამ ის ხომ ცისანაზე ფიქრობდა, როცა წნავდა?!

სახლს კარები მზისკენ გაუკეთა. ერთი ფანჯარა თეთრი, ბრწყინვალე ქედისაკენ, ერთიც ჩქრიალა, ფირუზისფერი მდინარისაკენ, ერთიც — ბოსტნისაკენ. აქედან ცისანა აყვავებულ ბოსტანს დაინახავდა.

ფაცხა მახობამ ჭალიდან მოტანილი ახალი ისლით დახურა, დადო შიგნით, შუა ადგილას დიდი ქვის კერა, გააჩაღა ცეცხლი, სხვენზე ჩამოჰკიდა კავი. კავზე დაჰკიდა წითელი სპილენძის ქვაბი და გაიხედ-გამოიხედა

— ოოჰ, რა კარგია! აქ ცისანა მოხარშავს და გააკეთებს კერძს და ერთად ვისადილებთ ცეცხლის პირას, — თქვა და ისევ ჩაიცვა თავისი ჩოხა, ქალამნები და გაიქცა ცისანასთან.

— ცისანა! — უთხრა მან, — მე ავაშენე მშვენიერი სახლი — ფაცხა, პანტის ახლოს. პანტის ძირას დავდგი გრძელი სკამ-ლოგინი, იქ დავსხდებით და დავისვენებთ მე და შენ შრომის შემდეგ.

— პანტის ძირას, მახობა? ჰო. ჩრდილი კი კარგია, მაგრამ მე არ მიყვარს შენი წვრილი პანტა. მე მიყვარს გემრიელი მსხვილი პანტა.

— გემრიელი, მსხვილი პანტა, ცისანა? ვიშოვნი!

— ჰო, მაშინ მოდი! — უთხრა ცისანამ.

მახობა გამოიქცა გახარებული. ახლა დარწმუნებული იყო, თუ გემრიელ პანტას იშოვნიდა, ცისანა წამოვიდოდა... მაგრამ რომელი პანტა უყვარს, როგორ არ ჰკითხა? ტყეში ბევრგვარი პანტაა.

იჯდა მახობა თავისი ფახცის წინ დიდხანს და ფიქრობდა, როგორი პანტა უყვარს ცისანას და სად იშოვნოს? მას ახსოვდა, ჯერ კიდევ პატარაობისას, დანით რომ გასერა თამაშობის დროს ვაშლის ტოტი და შიგ რომ ჩაურჭო ატმის კვირტიანი პაწია ყლორტი, მერე როგორ შეეზარდა და გაიხარა ყლორტმა, ახლა რომ კარგ ნაყოფს იძლევა, ვაშლსაც რომ ჰგავს და ატამსაც. „მოვიტან კარგი



პანტის ყლორტს, — ფიქრობდა მახობა, — მაგრამ რომელი მოვიტანო? ზოგი ხომ საადრეოა, ზოგიც საგვიანო, რომელი უყვარს ცისანას?" გადაწყვიტა, წასულიყო ცისანასთან საკითხავად. ჩაიცვა კიდევაც ჩოხა, მაგრამ შეჩერდა და გაიფიქრა: „იქნებ ყველა უყვარს? ჰოდა, მეც ყველა ყლორტს მოვიტან!" გაიცინა მახობამ და გაიქცა ტყეში სხვადასხვა პანტის ყლორტების საძებნელად. იპოვა, გამოსჭრა და მოიტანა; გასერა დიდი პანტის შვიდი ტოტი, თითოეულ ტოტზე თითო კვირტიანი ყლორტი დაამყნო და მიანდო მზეს — დაეთბო და გაეზარდა ისინი ცისანასათვის.

---

ყველაფერი მიტაცებდა. არ ვიცოდი, რომელ ერთ გზას დავდგომოდი საბოლოოდ.

რადიომ კი ჩემი მისწრაფებების ყველა სფერო მოიცვა.

მახსოვს, ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა, აკადემიკოსმა ავლიპი ზურაბაშვილმა თავის საიუბილეო საღამოზე თქვა: „მადლობა ჩემს მშობლებს, რომ შრომა შემაყვარესო". მართლაც რა ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც შრომა თავისი ცხოვრების საჭედ გაუხდია. ჩემი აზრით, ჭეშმარიტი ადამიანი მხოლოდ შრომაში ყალიბდება.

რადიოში ამ 40 წლის მანძილზე გადაცემული მასალებიდან ყველაზე საგულისხმო, ყველაზე შთამბეჭდავი ის გადაცემებია, რომლებიც მოსწავლე ახალგაზრდობის შრომით საქმიანობასა და წარმატებებს შეეხება. კითხულობ ასეთ მასალებს მიკროფონთან და თავი შენც ახალგაზრდა გგონია, შენც გინდა ფეხდაფეხ მიჰყვე ჩვენს საამაყო ახალგაზრდობას, რომლის შემართებას წინ ვერაფერი დაუდგება.

ჩვენს საბავშვო გადაცემებს დიდ დახმარებას უწევს „პიონერში" მოთავსებული ბევრი საინტერესო მასალა. ოღონდ სასურველია, უფრო მეტი იწერებოდეს სასიქადულო მამულიშვილებზე და თვით მათი საუბრებიც.

„პიონერის" ახლანდელ ნორჩ კორესპონდენტებს ვუსურვებ წერონ გულწრფელად, სიყვარულით, გატაცებით, ახლის დანახვის მეტი უნარით. მინდა, როცა მე, უკვე ხანდაზმულს მომიხდება მათი ნაწერების მიკროფონთან წაკითხვა, დამავიწყდეს ჩემი ასაკი და ახალგაზრდული სიმხნევით ველაპარაკო ჩემს რადიომსმენელებს.

# პიონერული ნიშანი

მარიკა მიქელაძე

— ეს ნიშანი პაწაწინა
რისთვის მოგვცეს, იცი, დალი? —
რომ ჩვენს გულში მარად ენთოს
დიდი რწმენის ნაღვერდალი.

ეს კოცონი ალისფერი
ნიშანია, იცი, რისი? —
რომ გვახსოვდეს მამულისთვის
დანთხეული გმირთა სისხლი.

სხივები კი ოქროსფერი,
იცი, რისკენ მოგვიწოდებს? —
რომ ჩვენს ცაზე ოქროს სხივი
არ დაბნელდეს არასოდეს.

და წარწერა „მუდამ მზად ვარ",
ეს ცხადია თავისთავად, —
მას გვავალებს, რომ მზად ვიყოთ
ჩვენი ქვეყნის დასაცავად;

რომ ყოველთვის, მუდამ, მუდამ
ძგერდეს ჩვენი ნორჩი გული
დიდ სამშობლოს ერთგულებით
და ბელადის სიყვარულით.

ეს ნიშანი მშვენიერი
რად მივიღეთ, იცი, დალი? —
რომ ჩვენს გულში მუდამ ენთოს
დიდი რწმენის ნაღვერდალი!

დაიბეჭდა „პიონერში" 1947 წელს.

იხარეს ყლორტებმა, აიშოლტნენ დიდი პანტის ტოტებზე.

სამჯერ დაბრუნდა ზამთარი, სამჯერ დაბრუნდა გაზაფხული და შვიდმა აშოლტილმა პანტის ტოტმა გამოიღო ნაყოფი, მაგრამ ტყეში რომ იხამს პანტა, ისეთი კი არა, — უფრო დიდი, უფრო ლამაზი და უფრო წყლიანი.

გახარებული მახობა გაიქცა ცისანასთან:

— შვიდი სხვადასხვანაირი, სხვადასხვა დროს დასამწიფებელი პანტა მოისხა ჩვენმა ხემ და ერთი უკვე დამწიფდა კიდეც...

— შვიდი?! შენ ხარ ასეთი ოსტატი მახობა?

— მე ვარ, ცისანა, მე... ახლა ხომ წამოხვალ? ჩვენს ლამაზ სახლში წითელი ცეცხლია კერაზე გაჩაღებული, კავზე სპილენძის წითელი ქვაბი ჰკიდია. შენ გელის, ცისანა, ჩემთან ერთად, სახლ-კარი, კერა და ბოსტანი; ჩვენი სახლის წინ წევს ლამაზი ძაღლი ბუნგლია. — ისიც შენ გელის. წინ ცარიელი ჯამი უდგას და შენ უნდა ჩაუსხა შიგ კერძი.

ცისანას გაეცინა.

— წამოვალ, ოღონდ, იცი რა, გაქვს თუ არა შენ ჩემთვის ლურჯი, ცისფერი პური? მე არ მიყვარს ჭვავი...

— ეს როგორი პურია? მე არასოდეს არ მინახავს, ცისანა, ცისფერი პური. მე ვიცი ჭვავის პური, დავთესე კიდეც და ერთად უნდა მოვმკათ.

— ჩვენ უნდა გვექნეს ცისფერი, აი ასეთი პური, — მან გაშალა კალთა და გადმოყარა მახობას წინ ცისფერი ყვავილები „კათალიკოზა" (ნუ დამივიწყებ), ვარსკვლავივით ციმციმა და ცქრიალა.

— ამისთანა პური, ცისანა?! სად იშოვე ეს ყვავილები?

— ზეგანზე, მინდორში, იქ ბევრია.

მახობამ აიღო ყვავილები ხელში და დააცქერდა ყურადღებით.

— შენი ფეშქაში იყოს ეს ყვავილები, მახობა!

— მე არ ვიცი, შევძლებ თუ არა, — უთხრა მახობამ, — მაგრამ, თუ შევძელი...

— ჰოო, მაშინ უთუოდ წამოვალ შენს დაწნულ, ლამაზ სახლში! — თქვა ცისანამ და გაიქცა.

მახობა დიდხანს უცქერდა მას, სანამ ლურჯთვალა ცისანა, როგორც ყვავილი, არ მიიმალა შორს, მინდვრის ყვავილებში... და გაიცინა მახობამ.

მე გადავატრიალებ ქვეყანას, მოვიყვან ლურჯ პურს და ჩემს სახლ-კარს დაამშვენებს ცისანა!..

დაბრუნდა შინ მახობა და დიდხანს იჯდა დაფიქრებული. მზე ჩავიდა, მთვარემ და ვარსკვლავებმა ამოაშუქეს ცაზე. მზე ისევ ამოვიდა და ისევ ჩავიდა. მახობა კი ისევ ისე უძრავად იჯდა და ფიქრობდა. ფიქრობდა, ფიქრობდა [illegible] ერთსა და იმავეს, თუ როგორ მოეყვანა ცისანასათვის ლურჯი პური.

„უნდა შევიტყო, არის თუ არა სადმე ქვეყანაზე ლურჯი პური და მოჰყავს თუ არა ვისმეს".

გადაწყვიტა წასულიყო შესატყობად. ადგა, გაიბერტყა ჩოხის კალთა, ჩაიკრა ქამარში და გაუდგა გზას. გადაიარა ცხრა მთა და ბარი. ყველას — დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას, ქალსა და კაცს ეკითხებოდა, სად შეიძლება შეიტყოს კაცმა, როგორ შეიძლება ლურჯი პურის მოყვანა.

ყველა განცვიფრებული შესცქეროდა მახობას, ყველას აკვირვებდა მისი კითხვა, რა საჭირო იყო ლურჯი პური, როდესაც იყო ჭვავის პური.

ცხრა მთას იქით მახობა მიადგა ერთ ლურჯ გორაკს. ყველაფერი ამ გორაკზე: ბალახი და ბუჩქები იყო ლურჯი, მაგრამ პურის ყანა არ იყო აქ. მაინც გაეხარდა მახობას. გადაწყვიტა მიწა მოეთხარა და წაეღო, თავის სახლის წინ დაეყარა და ზედ ჭვავი დაეთესა.

იშოვნა ცხრა ურემი, გაწმინდა მიწა ბალახისაგან, დააყარა ურემზე და წამოიღო, მოიტანა თავის ეზოში, დაყარა, გააფხვიერა და დათესა ჭვავი.

გაიზარდა ჭვავის ყანა. დამწიფდა. მომკა მახობამ, დაფქვა და გამოაცხო. გამოცხვა ისევ ჭვავის პური. ოჰ, როგორ შეწუხდა მახობა. ისე ძალიან შეწუხდა, მის მკერდში ვაჟკაცის გული რომ არ ყოფილიყო, ატირდებოდა კიდეც.

ისევ დაჯდა პანტის ჩრდილში და ფიქრობდა დიდხანს. ისევ მოვიდა გაზაფხული, ისევ დათესა მახობამ ჭვავი, ამობიბინდა ჭვავის ყანა, აყვავდა, პურთან ერთად ამოვიდა ლურჯი ბალახიც, ამოვიდა წვრილი, ლურჯი „თრიის კუდა" და შეერია ყანას. მახობა გაიქცა ზეგან-



ზე, მოკრიფა კათალიკოზა ყვავილი, ამოსჭრა ცისფერი აყვავებული ბელტები და წამოიღო თავის ეზოში, ბელტები ყანის ირგვლივ დააწყო, ყვავილები დააყარა აყვავებულ ჭვავს. საიდანღაც მოფრინდნენ ფუტკრები და პეპლები, გაახარეს მთელი ეზო.

დამწიფდა ყანა. მომკა მახობამ, დაფქვა, გამოაცხო... და, ჰოი, საკვირველებავ! პური გამოვიდა ლურჯი, როგორც ცისანას თვალები; გაიცინა მახობამ და გაიქცა.

— ცისანა, ცისანა, — შესძახა მან, — ცისანა, შეხედე, რა პურია, ლურჯი, ცისფერი, როგორც შენი თვალები, როგორც შენი ყვავილები. ახლა ხომ წამოხვალ ცისანა?

— წამოვალ, მახობა, წამოვალ. მეც მომწყინდა უშენოდ. მე მოვუვლი ჩვენს ლამაზ ფაცხას, გავაკეთებ კერძს წითელ ცეცხლზე — კავზე დაკიდებულ ქვაბში. გამოვაცხობ ლურჯი პურის შოთებს და ერთად შევექცევით, ბუნგლიასაც ავუვსებ ჯამს გემრიელი სალაფავით და დავისვენებთ ჩვენი ძველი პანტის კი არა, შვიდნაირი მსხლის ძირას სკამ-ლოგინზე...

ისინი გამოიქცნენ ხელიხელჩაკიდებულნი, მხიარული ცეკვითა და თამაშით, და დაბინავდნენ ერთად ლამაზ ფაცხაში; მათ უცინოდა შორიდან ბრწყინვალე თეთრი ქედი და უმღეროდა ჩქრიალა სწრაფი მდინარე.

ცისანამ გაახარა მახობა, აჩუქა მას მშვენიერი თმახუჭუჭა ბიჭიკო და ლურჯთვალა გოგონა. გაისმა მათ ოჯახში მხიარული შრომის სიმღერა...

მეზობლები, შორეულნი და მახლობელნი მოდიოდნენ, ისვენებდნენ პანტის ჩრდილში, მიირთმევდნენ ცისანას გამომცხვარ ლურჯ პურს, მშვენიერ წყლიან მსხალსა და ამბობდნენ:

— ნახე, როგორი ვაჟკაცი დადგა ჩვენი მახობელა, რა სახლ-კარი გააკეთა. რა პური მოიყვანა, რა მსხალი გაზარდა! ჩვენც გვასწავლე, მახობა, ამისთანა გემრიელი პურის მოყვანა... — და ისწავლეს მეზობლებმა მსხლის დამყნობა და ლურჯი პურის მოყვანა.

●

მას შემდეგ გავიდა დიდი ხანი. ახლა იმ ადგილას, სადაც მახობა სახლობდა, დიდი, სამსართულიანი სახლია — საცდელ-საჩვენებელი სამეურნეო სკოლისათვის, პანტის მაგიერ ბაღია გაშენებული, სადაც მრავალი დამყნობილი ხეხილი ხარობს და ირგვლივ ყვავილებით დაფარული, ჭრელი პეპლებით და ფუტკრებით აფერადებული მწვანე მინდორია. ჭალაში, ისევ ისე მოჩქრიალებს ფირუზისფერი დიდი მდინარე და მის ნაპირებზე პურის ყანები ღელავენ ოქროს ზღვასავით.

დაიბეჭდა „პიონერში" 1949 წელს.

# „პირველი საშუალო სკოლა"

## ელენე დიდიმამიშვილი

*აგურის შენობა ლამაზი...*
*იმ ტკბილთა სიზმართა თოვა...*
*იგივე წარწერა აბრაზე:*
*„პირველი საშუალო სკოლა"...*

*ეზოში შევდივარ რიდებით*
*და იმავ ვერხვებთან ვდგები...*
*აქ სიო სხვა ზღაპარს მპირდება*
*და ყელზე მეხვევა კდემით...*

*ხომ არ მომიხმობენ ნეტავი,*
*ხომ არ ავირბინო კლასში...*
*რა მზე გადმოღვრილა ნეტარი*
*ჩემი მასწავლებლის ხმაში.*

*ხომ არ გამიღიმა ბაბთიანს, —*
*მგოსანი მოფრინდაო ჩვენი...*
*ფიქრები ყვავილებს მაყრიან,*
*და იმ სამეფოში ვრჩები:*

*სიტყვა არ მეშლება არცერთი —*
*ხომ არ ვუპასუხო ზეპირად...*
*ხომ არ მეკითხება გაკვეთილს:*
*ბოროტსა სძლიაო კეთილმან...*

*თვალები ყრმა-გულთა მხილველი,*
*ცისფერი... სათნოც და მკაცრიც...*
*ქღერს სულში სიკეთე პირველი*
*და ისევ მზის სითბოს მაწვდის...*

*აგურის შენობა ლამაზი...*
*იმ ტკბილთა სიზმართა თოვა...*
*იგივე წარწერა აბრაზე:*
*„პირველი საშუალო სკოლა"...*

# წიგნი

## ქეთევან მიქაძე

*საოცარი შესწევს ძალა,*
*შენც მეგობრად იგულე!*
*მზის კაშკაშა შუქის დარად*
*ებრძვის ყველგან უკუნეთს.*

*წიგნი — ცოდნის გასაღები,*
*წიგნი — ცოდნის სამყარო,*
*წიგნი გეტყვის,*
*ცოდნის ნერგი*
*რარიგ უნდა ახარო.*

*გაგიჭირდა? —*
*წიგნი გირჩევს —*
*ფარ-ხმალი არ დაჰყარო!*

*ფრთებს შეისხამს შენი ფიქრი,*
*შენი წრფელი ოცნება.*
*წიგნით ისე ამაღლდები —*
*მწვერვალიც ვერ მოგწვდება.*

*საოცარი შესწევს ძალა,*
*შენც მეგობრად იგულე,*
*მზის კაშკაშა შუქის დარად*
*ებრძვის ყველგან უკუნეთს.*





# ჩვენი ცხოვრების წესისთვის შეუფერებელი

ადამიანის ცხოვრებაში მრავალი ღირსსახსოვარი დღეა: დაბადების, სწავლის დამთავრების, კომკავშირში, სკკპ რიგებში შესვლის, პასპორტის მიღების, მუშაობის დაწყებისა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენათა აღმნიშვნელი დღეები.

ქართველმა ხალხმა, რომელმაც შრომის, გმირული ბრძოლის, სტუმარ-მასპინძლობის, სამშობლოს სიყვარულის, ლხინის, მწუხარების შესანიშნავი ტრადიციები შექმნა, მოახერხა ისე გაეფორმებინა ადამიანის ცხოვრების დამახასიათებელი მნიშვნელოვანი დღეები, რომ მათ განსაკუთრებული ელფერი ჰქონოდათ, და ამავე დროს თავისებური საშუალებაც ყოფილიყვნენ იმ მეგობრული, მეზობლური და ნათესაური კეთილგანწყობილების გამოსამჟღავნებლად, რაც ქართველი კაცის თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენს.

დროთა მანძილზე დადებით ქართულ ტრადიციებს გაუჩნდათ უარყოფითი დანაშრევები, რამაც შელახა მათი ღირსებები. ბევრი კარგი წეს-ჩვეულება დამახინჯდა და საზოგადოებისათვის საშიში ხასიათი მიიღო. სწორედ ამიტომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება: რესპუბლიკაში „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რაც ყოველ ჩვენგანს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს, რათა ბრძოლა გამოვუცხადოთ ყოველივე იმას, რაც ამახინჯებს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის ყოფასა და კულტურას.

მაგრამ, ვიდრე რომელიმე მავნე წესჩვეულებას შევეხებოდეთ, ჯერ გავარკვიოთ, რას ნიშნავს „ტრადიცია“, საიდან წარმოსდგება, როგორ ყალიბდება და როგორ ხდებიან დადებითი ტრადიციები უარყოფითი ხასიათისა.

„ტრადიცია“ — ლათინური სიტყვაა (tradicio) და „გადაცემას“ ნიშნავს. მაგრამ რის გადაცემას? ხალხის მიერ ისტორიულად ჩამოყალიბებული, გარკვეული წეს-ჩვეულებების, ყოფაქცევის ნორმების, შეხედულებებისა და სხვათა გადაცემას თაობიდან თაობაზე. ტრადიცია თავდაპირველად ჩნდება, როგორც გარკვეული წესი, ჩვეულება, რომელიც, თუ დროის გამოცდას გაუძლებს, ტრადიციად იქცევა. ის დაუწერელი კანონის სახით მოქმედებს, მაგრამ იმდენად ძლიერია, რომ მისი დამრღვევი პიროვნება ირიცხება იმ ჯგუფის მიერ, რომლის წევრიც ის თვითონაა. აბა გაიხსენეთ ჩვენი სასიქადულო მწერლების ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირები, რომელთაგან ზოგიერთი თემისაგან მოკვეთილი იქნა, თემის წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, კანონების დარღვევის გამო.

ტრადიციები თავისი ბუნებით გამძლეა. მათ შეუძლიათ სხვადასხვა თაობებში მოქმედი წეს-ჩვეულებანი შემოინახონ, თანამედროვეობასაც შეუფარდონ და მისაღები გახადონ საზოგადოებისათვის.

ტრადიციებში აისახება ერის კულტურა, მისი წარსული, აწმყო. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენენ ტრადიციებზე და მოთხოვნილებების შესაბამისად, ისინიც ეგუებიან ცხოვრების ახალ წესებს. სწორედ ამ დროს დადებით ეროვნულ ტრადიციებში შესაძლოა თავი იჩინოს უარყოფითმა წეს-ჩვეულებებმა იმის შესაბამისად, თუ ადამიანთა რომელ წრეში მოქმედებენ ისინი. აი, აქ შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება და ვისაუბროთ დღეობებსა და საღამოებზე, რომლებმაც დაჰკარგეს დადებითობა და მოსახლეობის ერთ ნაწილში დამახინჯებული ფორმით მოიკიდეს ფეხი.

ბავშვებო! ალბათ დამემოწმებით, რომ ხშირად, როდესაც მშობლები შვილებს დაბადების დღეს უხდიან, სამზადისს ოჯახი რამდენიმე დღით ადრე იწყებს. სურსათ-სანოვაგე მრავლად მოაქვთ; დედასა და ბებიას ღამე არ სძინავთ, მეორე დღესაც დილიდან დაღამებამდე ფეხზე დგანან. ამზადებენ ათასგვარ საჭმელს. მოწვეულთა შორის უმეტესად მშობლების მეგობრები და ახლობლები არიან, მაშინ, როდესაც თქვენი თანატოლები თქვენთვის უფრო სასურველი სტუმრები იქნებოდნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სუფრასთან უფროსები ხშირად ერთმანეთს ისეთ ხოტბას ასხამენ, რომ ბავშვი გაოცებული შესცქერის მათ და ფიქრობს, ნუთუ ყველანი დიდი ადამიანები არიანო. დიდი სასმისები ერთმანეთის თანამიმდევრობით იცლება, ადღეგრძელებენ ყველას და ყველაფერს, მაგრამ არავის ახსენდება ის სკოლა, ის მასწავლებლები, ის ბავშვები, სადაც და ვისთანაც პატარა იუბილარი დღის ძირითად ნაწილს ატარებს. არავინ ადღეგრძელებს იმ კოლექტივს, სადაც მომავალი მოქალაქის ჩამოყალიბება უნდა განისაზღვროს. ბავშვისთვის უინტერესო ხდება მისი დაბადების დღე, ის სტოვებს სტუმრებს და დასაძინებლად მიდის, მიდის და ფიქრობს: რატომ ჰქვია ამ დღეს მისი დაბადების დღე?

ალბათ გახსოვთ, რომ შარშანწინ „პიონერის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ქ. ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლის ბელა გვალიას წერილი, სადაც მოთხრობილი იყო, რომ ნანა თავისი მეგობრის დაბადების დღეზე ვერ წავიდა, რადგან მას ძვირფასი არაფერი ჰქონდა საჩუქრად წასაღები.

ჩვენს რესპუბლიკაში, გარკვეულ პერიოდში, ფეხი მოიკიდა—ერთმანეთის გულის მოგებამ ძვირფასი საჩუქრებით, რომელთა მისართმევად უბრალო საბაბიც კი საკმარისი იყო. საზოგადოების ნაწილში დამკვიდრდა ცუდი წეს-ჩვეულება, რომლის გამოც, ადამიანები და მათ შორის ახლობლებიც კი ხშირად ერთმანეთთან მისვლას ერიდებოდნენ, თუკი ძვირფასი რამ მისატანი არ ექნებოდათ. ბავშვები უფროსებისაგან მიეჩვივნენ იმას, რომ დაბადების დღეზე მხოლოდ ძვირფასი საჩუქრები უნდა წაეღოთ. ნაკლებად შეძლებული ოჯახის ბავშვები გულდაწყვეტილნი ამჯობინებდნენ შინ დარჩენას.

თუ დააკვირდებით საქართველოს ადრინდელი ცხოვრების ამსახველ კინოფილმებს, გადაიკითხავთ ლიტერატურას, გადაათვალიერებთ ფოტო-სურათებს, ნახავთ, რომ იმ დროს ასეთი ტრადიცია იყო: საზოგადოების თავშეყრის ადგილებში—თეატრში, საღამოებზე მოსწავლეები მიდიოდნენ სასკოლო ფორმის ტანსაცმლით, რაც მათ სხვებისაგან გამოარჩევდა; არ იგრძნობოდა შეძლებული და ნაკლებშეძლებული ოჯახის შვილობა. ახალგაზრდები დაბადების დღეს თავიანთ ოჯახში მართავდნენ ლიტერატურულ და მუსიკალურ საღამოებს, ერთმანეთს უძღვნიდნენ საკუთარ ნაწარმოებებს — ლექსებს, მოთხრობებს, ნახატებს, ნაქარგებს, საყვარელი მწერლებისა და პოეტების წიგნებს, ურთიერთს ეჯიბრებოდნენ გამოცანების ამოხსნაში, ანდაზების ცოდნაში, ქარაგმულ თქმებში, ცეკვაში, სიმღერაში. რა თქმა უნდა, ასეთი საღამოები უფროსების ჩრევის გარეშე ვერ ჩატარდებოდა და, ბუნებრივია, არც მხიარული სუფრის გარეშე დამთავრდებოდა, მაგრამ, იქიდან ყველა ნასიამოვნები ბრუნდებოდა შინ.

სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში კარგი ქართული ტრადიცია დამახინჯდა, გაჩნდა საშიშროება ბავშვებში მეშჩანური განწყობილების განმტკიცებისა.

ხშირად მოწმენი ვართ იმისა, რომ დაბადების დღეზე მისულ ბავშვებს ძალიან ეუხერხულებათ, თუ მშობლებმა წიგნი გამოატანეს საჩუქრად. თითქოს წიგნი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი არ იყოს! ზოგიერთი ბავშვი მშობელს აიძულებს საჩუქრებისათვის ძვირფასი სუნამო, ჭურჭელი ან სხვა განსაკუთრებული რამ უყიდოს. მოწმენი ვართ იმისაც, რომ ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილ მოზარდებს უჭირთ თავისუფლად ჯდომა, ჭამა, მოძრაობა. დაბადების დღეებზე ველარ ვისმენთ ქართულ საბავშვო სიმღერებს, უცხოურმა ჯაზურმა მუსიკამ პატარებშიც მოიკიდა ფეხი.

აი ასე შეიჭრა დადებით ქართულ ტრადიციებში მავნე წეს-ჩვეულებები და გაჩნდა საშიშროება მათი ტრადიციად დამკვიდრებისა. ამის წინააღმდეგ კი ყველა საბჭოთა ადამიანმა უნდა იბრძოლოს.

უფროსებთან ერთად ამ მავნე, მეშჩანურ ჩვევას უნდა ებრძოლოთ თქვენც. პიონერი ცხოვრების აქტიური მონაწილეა და არა პასიური მჭვრეტელი.

დაბადების დღეზე არა არის აუცილებელი დიდი ქეიფის გამართვა და საგანგებოდ სტუმრების მოწვევა. თქვენ თვითონ უნდა შეარჩიოთ სტუმრები და მოიფიქროთ, როგორ გაართოთ ისინი. გოგონებმა საკუთარი ნახელავით უნდა შეძლოთ თანატოლების გამასპინძლება. ეს საშუალებას მოგცემთ გამოავლინოთ თქვენი კულინარიული ცოდნა, ხელმარჯვეობა... ცხადია, მშობლები უნდა იყვნენ ამ საქმის ორგანიზატორნი, მათვე უნდა უხელმძღვანელონ თქვენს თავშეყრას, რათა საღამო ერთნაირად სასიამოვნო იყოს როგორც „იუბილარისათვის", ისე მისი სტუმრებისათვის. დაბადების დღეზე თქვენი მასწავლებლებიც უნდა მოიწვიოთ. ეს დღე ხომ ერთნაირად სასიხარულოა ოჯახისათვის და მასწავლებლებისთვისაც. განა იმაზე კარგი საჩუქარი რა უნდა იყოს, თქვენი რაზმის ხელმძღვანელი ან რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე სკოლაში შენი დაბადების დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ რომ დაგაჯილდოვებს? ეს ხომ დაუვიწყარი იქნება მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე. ყველა შე-



ეცდება მოგბაძოს, რათა მსგავსი პატივი მასაც ხვდეს წილად.

მოვიყვან იმის ერთ სანიმუშო მაგალითს, თუ რა საჩუქარი უნდა მიართვათ ხოლმე დედასა და მასწავლებელს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეებმა 8 მარტს რუსულის მასწავლებელს საჩუქრები მიართვეს. ყველას სურდა, თავისი საჩუქარი მასწავლებლისათვის ყველაზე სასიამოვნო ყოფილიყო. სულ ბოლოს მერხიდან წამოდგა ერთი ბიჭუნა, ლევანი, თეთრი ქაღალდის გრაგნილით ხელში. მასწავლებელს მიუახლოვდა და გაშალა „საჩუქარი“ — დიდ ქაღალდზე საკუთარი ხელით დახატული მგლის სურათი ცნობილი მულტფილმიდან „აბა, დამაცადე!“ საზეიმოდ გამოწყობილი მომღიმარე მგელი იების კონას უწვდიდა მასწავლებელს. ლევანის მასწავლებლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მისთვის ეს უფრო ძვირფასი საჩუქარი იყო, ვიდრე მაგიდაზე დალაგებული სხვა საჩუქრები, რომელთაც უფროსების ხელი ეტყობოდათ.

საერთოდ კი, მასწავლებლისა და მშობლისათვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარია თქვენი კარგი სწავლა და სანიმუშო ყოფაქცევა.

ჩემო პატარა მეგობრებო! უნდა შეგეძლოთ დაარწმუნოთ მშობლები, რომ არ არის საჭირო ძვირადღირებული საჩუქრები, ღრეობები... სადაც არ უნდა იყოთ, ვისთანაც არ უნდა მიდიოდეთ, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენა ხართ ნორჩი ლენინელები და უფლება არა გაქვთ არ ებრძოლოთ იმას, რაც შეუფერებელია ჩვენი ცხოვრების წესისათვის.

რუსუდან წიქვაძე.
მხატვარი ედ. ამბოკაძე.





ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 3

## ძვირფასო რედაქციავ!

დიდი ინტერესით წავიკითხე გასულ წელს „პიონერის“ მე-12 ნომრის „აისის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები, რომელთა ავტორები არიან თბილისელი გ. თ. და ნიკორწმინდელი ნ. გაგოშიძე. გიზიარებთ ჩემს შეხედულებებს ამ წერილებში აღძრულ საკითხებზე.

ჯერ პირველ წერილზე. გ. თ.-ს თავიდანვე რომ ეთხოვა ნანასათვის დახმარება მათემატიკური საგნების დაძლევაში, ნანა, როგორც მისი მეგობარი, არ დაზარდებოდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. მას მეგობრის მიერ შესრულებული ამოცანებისა და მაგალითების მზამზარეულად გადაწერის ხარჯზე უნდოდა კარგი ნიშნის მიღება. იგი ამით მასწავლებლებსაც ატყუებდა და თავის თავსაც. არც ნანას საქციელი მიმაჩნია გამართლებულად. თუ მთელი წავლო მეოთხედის მანძილზე ა გებლებდა მეგობარს, რაღა მა დამაინც მეოთხედის ბოლოს სტ უარი „დახმარებაზე“, როცა ნ ნიშნის ბედი წყდებოდა? ამ სა ელს გამართლებას ვერ ვუძებნი

ნ. გაგოშიძის წერილზეც აზრისა ვარ. თამრიკოც ნანას არასწორად იქცევა, როცა თანა ხელებს ლიასა და ქეთინოს სა ლებას აძლევს გადაიწერონ შესრულებული დავალებები. იგი მათ მხოლოდ დათვურ ს ხურს უწევს და სრულებით ვე მები წერილის ავტორს.

ზაირა ზაღაშვილ
მცხეთის რაიონის გალავნის საშ ლო სკოლის VIII კლასის მოსწავ

## დახმარება ასეთი მწამს

გამოგიტყდებით, ალგებრის დაძლევა მიჭირს, მაგრამ ჩვენი კლა სის წარჩინებული მოსწავლეები: ლეილა ლოლაძე, მამუკა ლომი და სხვები უანგაროდ მეხმარებიან. მაია კვიტაიშვილი, მაგალითა ყოველ დილით მამეცადინებს ალგებრაში და გეომეტრიაში. მე მა ამაგს არასოდეს დავივიწყებ. რა კარგი იქნებოდა, ნანასა და გ. თ.- თამრიკოსა, ლიასა და ქეთინოს შორისაც ასეთი დამოკიდებულე ყოფილიყო! თუმცა, დარწმუნებული ვარ, ნანაცა და თამრიკოც მ ხვდებიან თავიანთ შეცდომას.

თამრიკო მამასახლისოვი,
თბილისის მე-14 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნანა თუ თამრიკო?

ნანაზე ვერ ვიტყვით, ცუდი გოგონაა, მაგრამ უკეთესი ხომ იქნებოდა გ.-თ.-სთვის თავიდანვე არ გადაეწერინებინა თავის მიერ შესრულებული დავალებები?

მართალია, ნანა გრძნობს დანაშაულს, მაგრამ იქნებ ეს დაგვიანებული სინანულია? მასა და გ. თ.-ს წლობით განმტკიცებულ მეგობრობას ხომ ბზარი გაუჩნდა?

რაც შეეხება თამრიკოს, იგი თავისი საქციელით, შეიძლება ითქვას, ღუპავს ლიასა და ქეთინოს, რადგან ისინი ამ მისი „დახმარების" წყალობით ვერ შეიძენენ ცოდნას.

იმედი გვაქვს, „აისში" გამოქვეყნებულ ორსავე წერილში სააშკარაოზე გამოყვანილი ჩვენი თანატოლები, ჩაუკვირდებიან თავიანთ საქციელს და სწორ გზას დაადგებიან.

მთვარისა და მაყვალა ფუხაშვილები, ლერი ლიჩელი, გია კოლოლაშვილი, მარიკა კავთელაშვილი.

ქარელის რაიონის სოფ. ფცის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები.

## არ ვიწონებ ნანას ქცევას

ნანა ალბათ თავს იმართლებს, მინდოდა ჩემს მეგობარს თვითონ ემეცადინა და დამსახურებული ნიშანი მიეღოო. მაგრამ მე მას ვერ დავუჯერებ. თუ მართლაც გული შესტკივა მისთვის, თავიდანვე უნდა დახმარებოდა ალგებრაში და სხვა მათემატიკურ საგნებში. მე ნანა არ მიმაჩნია კარგ ადამიანად, თუმცა იგი კარგად სწავლობს. ადამიანურ თვისებათაგან მეგობრობა ხომ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი თვისებაა!

მაია ბოლოთაშვილი,

ასპინძის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## ასეთია ჩემი აზრი

ჩემი ფიქრით, გ. თ. ტყუილად ემდურის ნანას. ნანას რომ უარი ეთქვა მისთვის დახმარებოდა მაგალითებისა თუ ამოცანების გამოყვანაში, აი მაშინ საფუძველი ექნებოდა მის წყენას. ნანასაც მეტი პრინციპულობა უნდა გამოეჩინა — იმთავითვე აეძულებინა მეგობარი მეტი მონდომებით მოკიდებოდა მათემატიკურ საგნებს.

თამრიკოს თუ მართლა უყვარს თანაკლასელები ლია და ქეთინო, დილით, გაკვეთილების დაწყებამდე ან გაკვეთილების შემდეგ უნდა უწყობდეს ხელს მათ გავლილი მასალის ათვისებაში და არა სიცრუეს აჩვევდეს. ასეთია ჩემი აზრი.

ჟუჟუნა ბედოშვილი,

მცხეთის რაიონის ძალისის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

13045

## ჩვენი შემოქმედება

### გაზაფხული

ამოსულან ენძელები
ბერწიფელის ქვეშ,
ეხვევიან ჩიტუნები
უზარმაზარ ხეს.

პაწაწინა ნაკადული
მოუყვება ხევს.
ჭრელ გაზაფხულს არნახული
მეჯლისი აქვს დღეს.

ია მუჯირი,

თბილისის 65-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე.

თოჯინების თეატრში. თინათინ ცხადაძე, 9 წლის. ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპონატი.





# ზღმარტლი

დოდო ვადაჭკორია

მოთხრობა

მხატვარი გ. ფოცხიშვილი.

იმ ზამთარს თოვლმა დააგვიანა. ერთი-ორი დღე წვიმამ წამოუშინა, ქარიც იყო. მერე ყველაფერი მიწყნარდა. დილით თრთვილით დაფარულ არემარეს მზე დაჰკრავდა, აკრიალებდა, თითქოს ბროლში იყო ყველაფერი, და პირწმინდად ასუფთავებდა კიდეც. ისევ ნაცრისფერი დაედებოდა გარემოს.

ზღმარტლია იმოდენა ტყეში, რა გამოზიდავსო — ამბავი მოიტანა ვიღაცამ.

განა სავალდებულოა ბუჩქზე დამწიფდეს ზღმარტლი. შინ, მყუდროში დაცომდება და ზამთარში იმის ჭამას, აბა, რა სჯობს.

— ვიღაცეები წასულან ზღმარტლზე, — არ მომისვენა მარიკამ. ისე ღელავდა, თითქოს ჩვენ აღარ შეგვხვდებოდა არაფერი.

ლაპარაკში მიტრო ძიას ხოდაბუნი გადავიარეთ და ტყეს მივადექით. ტყეში უფრო ციოდა და ხეებს შორის სინათლე ახლა ადვილად გადიოდა. ნეშომპალას შარიშური გაუდიოდა ფეხქვეშ. მიწა ისეთი რბილი იყო, ხალიჩა რა მოსატანია. ნესტის სუნი ტრიალებდა. სადღაც წყარო მოჩხრიალებდა.

შიშველ, გაფარჩხულ ტოტებს საჩეჩელზე შერჩენილი ანაგულივით ეკიდა ბუდეები.

— გუშინ ყაჩაღები დაუჭერიათ.— მითხრა მარიკამ.

„დედა აშინებს, ალბათ, ნაკლებ რომ იტუნტულოს“, — გამეცინა გულში.

— გეშინია? აქ რა უნდათ ყაჩაღებს დღისით, მზისით, რომელი ყაჩაღი გამოგეცხადება! ვინ მოგახსენა ეგ ამბავი.

— შენ არც მამალი მგლისა გეშინია?

— წამო, — ხელი გადავხვიე მარიკას.

— ძალიან შორს ნუ წავალთ, რა!— შემევედრა მარიკა.

— აი, აქ მეგულება ზღმარტლის ბუჩქები.

ცოტაც გავიარეთ და დაღვლარჭნილ ხის ძირში სამი ერთმანეთში გადაზრდილი ბუჩქი შევამჩნიეთ.

— აგერ! — გაიხარა მარიკამ.

ზღმარტლი კენჭებივით ცვიოდა აბგაში. თაფლისა თუ თათარას სუნი ასდიოდა ტოტს, ფოთლებს, მოწყვეტილ მოთეთრო-მომწვანო ზღმარტლის კუდს.

ერთი პალვიანი ზღმარტლი ცოტა რბილი მომეჩვენა და ჩავკბიჩე. ისეთი კაწახი იყო, ყბები გამიჩერა, დამმანჭა, მაგრამ წვენი მაინც გამოვადინე და რის ვაი-ვაგლახით გადავყლაპე ჩვენი ინდაურივით. ხახა გამომიშრო და რაღაც გამომაკრა პირში.

ეგ არაფერი. ერთიც ვნახოთ, ტყეში ფეხის ხმა გაისმა. მერე რაღაც გაფაჩუნდა და გაშლიგინდა ხეებსუკან. ხელი ბუჩქზე შემიცივდა და ყური მივუგდე. მარიკამ ისკუპა და ზურგში ჩამეკრა.

— ნუ გეშინია, კურდღელი იქნება, ან...

— ან რა... ვაი, დედი, დედიიიიი!— ჩუმად მოთქვამდა მარიკა და უნებურად ზურგში მუშტები დამიშინა.



— ეე, მე რას მიბარტყუნებ! — გამეცინა.

— რა გაცინებს, შენ თუ გიჟი არა ხარ!.. ნამდვილად ყაჩაღები მოდიან. სწორედ აქეთ მიდის გზა თბილისისაკენ.

— ჰო, ყაჩაღები თბილისში მიდიან, ალბათ ტყეში ყოფნა მოსწყინდათ. — ისევ გამეცინა.

მარიკა აზლუქუნდა.

— ნუ გეშინია, მარიკა, წამო, — დავუყვავე. მარიკას აბგა გამოვართვი და წინ გავუძეხი, მაგრამ მარიკა უკანუკან ცქერით წამომეწია და წინ გამისწრო.

— შენ არ გეშინია და მე წავალ წინ.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით და ნამდვილად გავიგონე — ვიღაცამ ჩახმახი შეაყენა ფეხზე, „ეს რა უნდა იყოს?“ — თვალით მანიშნა მარიკამ.

ისევ განმეორდა ხმაური. ერთი კაცის ფეხის ხმა არ იყო, რამდენიმე გვიახლოვდებოდა. „ალბათ გრძელი წვერი აქვთ, იქნებ ნიღბებიც უკეთიათ“, — ვფიქრობდი. ვიღაცამ ჩაახველა კიდეც და რაღაცამ დაიხრჭიალა. ხეს ამოვეფარე და მარიკა უკან მოვიყენე. საწყალი გოგო ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა.

თითქოს ყველაფერი მიყუჩდა და ის იყო წასვლა დავაპირეთ, რომ ისევ გაისმა ჩახმახის ჩხაკუნი და ნეშომპალას შრიალი ფეხქვეშ.

მარჯვნით, ერთმანეთში გადახლართული წიფლის ძირებს შუა ჯირკს ამოეყო თავი. ფრთხილად გადავაბიჯე ფესვებს და კუნძთან ჩავჯექი, თან მარიკას დავუქნიე ხელი.

— მეშინია, ვერ მოვალ. — თქვა აბუზულმა მარიკამ, მაგრამ მაინც სასწრაფოდ ჩამოხტა ჩემთან.

— ეს ჯირკი არასოდეს არ მინახავს. ნახე, რა ლამაზია. რამოდენა სოკოა, შეხედე!

შუაზე გაჭრილ მრგვალ მაგიდასავით მიდგმოდა დახავსებულ ხის ტანს ყავისფერი ზოლებით მოხატული რუხი სოკო.

— არ დაგავიწყდეს, გაზაფხულზე მოვიდეთ. იცი, რამდენი ია იქნება? ნახე, ნახე, — ნეშომპალა გადავქექე და მართლაც გამოჩნდა იის ხასხასა, მრგვალი, დაძარღვული ფოთლები. მერე ისევ წავაყარე ნეშომპალა ფოთლებს.

რაღაც უცნაური ღრჭიალი და მტვრევის ხმა გაისმა. გული მძლავრად მიცემდა. მაგრამ ხმას არ ვიღებდი. ვცდილობდი ჩვენამდე მოსული ხმები გამერჩია და რაიმესთვის მიმემსგავსებინა.

მარიკა კუნძს ზურგით ისე მიეკრა და მოკალათდა, თითქოს სავარძელში ჩაბრძანდაო.

— სულ ჩემი ბრალია, არ მოგისმენე... რად გვინდოდა ეგ ზღმარტლია თუ დოზანა, გადაყარე ეგ ტიალი, ეგა...

— ძოიცა ერთი. — ძლივს დავითრიე აბგა.

ისევ გაისმა ჩახმახის ჩხაკუნი.

უეცრად, სულ ახლოს, ინდაურების კავკავი გაისმა და უკან ისეთი იმედით მოვიხედეთ, თითქოს მშობელი დედა გამოგვცხადებოდეს ამ შიშიანობაზე. მოვიხედეთ და რას ვხედავთ: ჩვენი მელიის დასაგლეჯი ინდაურები არ მოყელყელაობენ! უკან, წკეპლით ხელში, ქუდიილეტია მოსდევს.

ფეხზე ადგომა დავაპირე, მაგრამ მარიკამ დამქაჩა. დავბარბაცდი და კუნძს მივეხალე. რაღაც მეტკინა, მაგრამ ყური არ ვათხოვე.

— აქ რა გინდათ, თქვე ჰინკებო, თქვენა. გული არ გამიხეთქეთ! — გულზე მიიდო ხელი ქუდიილეტიამ, მერე ქუდი მოიგლიჯა და ისევ გულდასმით დაიხურა.

— საიდან მოდიხარ? — ჩუმად შევეკითხე.

— ქალაქიდან. მოკლეზე ამოვედი. იაკოფას ჰიშკართან ისხდნენ ე თქვენი ინდაურები და გამოვიდენე. ამა[illegible] დაეძებთ?

— დიახ. სულ მოვიარეთ მთელი ტყე, — ძლივს ვთქვი, თავი არ აი[illegible]წევია.

— ი! — აფხუკუნდა მარიკა, მაგრამ ისეთი მუჯლუგუნი მიიღო, -[illegible]რუსუნდა.

— რა იყო, გოგო, თქვენკენ მოვდივარ, წამო შინ, — თქვა ქუდიილეტიამ და ბარე ათჯერ მოიხადა და დაიხურა წარამარა ხელის ხლებისგან გაპოხილი ქუდი.

ვითომც აქ არაფერიო, წკეპლას დავწვდი და მტერი ინდაურები გავერეკე.

ქუდიილეტიამ მარ[illegible], ალბათ ჩვენი ნელი ს[illegible]რიანა.

„ნეტავი თვალი მაინც მომეკრა, როგორები არიან ყაჩაღები, მართლა არსებობენ თუ არა? ეს ტიალა ინდაურები რომ არა...“

მოკლეზე გადავჭერით. ულრან ტყეში მიიკლაკნებოდა ბილიკი სოფლისაკენ. ერთ ადგილას მაღალი, მხრებგაშლილი მუხები იდგნენ. აქ, მუხნარში, ია და ლიკლიკა, ქათქათა შროშანი იცის. ახლა გამხმარი, ფერდაკარგული არიოთილა ცახცახებდა.

მოულოდნელად მარიკამ ხელი წამავლო.

— რა იყო? — წავჩურჩულე და შევამჩნიე, ისეც ფერმკრთალს მკვდრისფერი დასდებოდა.

სულ ახლოს გაისმა ღრჭიალი.

ხეს ამოვეფარეთ და სმენად ვიქეცით. ვინანე, რატომ არ გავყევით ქუდიილეტიას. ხმაური უფრო მკაფიოდ ისმოდა. ინდაურებმა კისრები წაიგრძელეს და ალოქლოქდნენ. უცებ ჩვენს მარჯვნივ ბუჩქი შეირხა და პირში დიდი ძვლით, ბომბორა ნაგაზი გამობრძანდა. კისერზე ჩანგლებიანი საყელური ეკეთა. სევდიანი თვალებით დაგვაცქერდა, მერე დაწვა, თათებს შორის მოიგდო ძვალი და ღრენით წაეტანა.

ჩემს სიცოცხლეში პირველად მომინდა ერთი დიდი ქვა მეთხლიშა ამ ბომბორასათვის.

მარიკამ ტაში შემოჰკრა და აკისკისდა.

— ყაჩაღი, ყაჩაღი!

ძაღლი ისევ დაგვაცქერდა. მერე ცარიელა ძვალს თავი ანება და ლასლასით დაუყვა გზას სოფლისაკენ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრა ბავშვებთან



ვალტერ
ბარტელი

ხელოვნების ლამაზი კერაა ბერლინში „მეგობრობის თეატრი“ — საბჭოთა კავშირის საჩუქარი გერმანელი ბავშვებისათვის. ყოველი წარმოდგენის წინ თეატრს მხიარული ჟრიამული ავსებს. ბავშვები მოუთმენლად ელიან სპექტაკლის დაწყებას.

დღეს უჩვეულო მოუსვენრობაა. პირველ რიგში პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი იკავებს ადგილს. პატარა მაყურებლები სიხარულს ვერ მალავენ, ტაშს უკრავენ, მღერიან, წამოძახილებით მიიმართებიან წინა რიგებისაკენ, უფრო გაბედულებს კი ისიც სურთ, რომ პრეზიდენტს ხელი ჩამოართვან, ვილჰელმ პიკი ვერცხლისფერი თმით, კეთილი თვალებითა და მომღიმარი სახით, ორივე ხელით ესალმება ბავშვებს.

ფარდა იხსნება.

ბავშვები გატაცებით უყურებენ სპექტაკლს. კეთილი ადამიანები — შნეებალი და მისი მეგობრები პატარების სიმპათიას იმსახურებენ, ხოლო ბოროტების — მდიდარი კაცისა და მისი მახინჯი გოგოს მიმართ იმთავითვე ზიზღით იმსჭვალებიან. ლოყები წითლად ულვივით მღელვარებისაგან. გაისმის წამოძახილები: „ფუი, მატყუარები!“ ან „ყოჩაღ, შნეებალ!“

კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტს, — აი, პატარა მაყურებლების ძლიერი სურვილი. სურათი სურათს ცვლის. შესვენება იწყება. ყველანი პრეზიდენტისაკენ მიიჩქარიან, ფუტკრებივით ზუზუნებენ მის გარშემო და კითხვას კითხვაზე აძლევენ:

— როგორ მოგეწონათ სპექტაკლი?

— ვინ არის ყველაზე კარგი მსახიობი?

— საბჭოთა კავშირშიც ასეთი შესანიშნავი საბავშვო თეატრებია?

— ბავშვობაში დადიოდით თეატრში?

ანელიზა სთხოვს პრეზიდენტს, შნეებალი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოვიწვიოთო (პიესაში შნეებალი ზანგის ბიჭია, რომელიც კანის ფერის გამო სკოლიდან გააძევეს და დააპატიმრეს).

პრეზიდენტი ანელიზას ეუბნება, რომ ზანგების მტრები შნეებალს ჩვენში არ გამოუშვებენ, მათ ეშინიათ, რომ იგი მოგვიყვება მის ქვეყანაში არსებულ უსამართლობაზე.

— ჩვენ უნდა დავეხმაროთ ზანგებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში — ამბობს ანელიზა.

— სწორია, ანელიზა. როგორ დავეხმაროთ ზანგ ბავშვებს, რომ მათ და მათ მშობლებს აღარ ჩაგრავდნენ? — კითხულობს ვილჰელმ პიკი.

— მშვიდობისათვის უნდა ვიბრძოლოთ, თუ კარგად ვისწავლით, მშვიდობის მედგარი დამცველები გამოვალთ! — ერთხმად პასუხობდნენ ბავშვები. — მივწერთ ზანგ ბავშვებს, რომ ჩვენ გვიყვარს ისინი, უეჭველად გაიხარებენ.



— თუ მსოფლიოს ბავშვები ერთმანეთს მხარში ამოუდგებით და უფროსებს მშვიდობისათვის ბრძოლაში დაეხმარებით, — მიმართავს პრეზიდენტი ბავშვებს,—მაშინ კეთილი ადამიანები ამერიკაში საკმაო ძალას იგრძნობენ იმისათვის, რომ ზანგთა დევნის სამარცხვინო კანონების წინააღმდეგ გაილაშქრონ.

მესამე ზარი ირეკება. ყველანი ადგილებს იკავებენ. სპექტაკლი გრძელდება.

„მეგობრობის თეატრთან“ ახლოს მდებარეობს ნორჩ პიონერთა ცენტრალური სახლი. იქ პირველად როდი მიდის პრეზიდენტი. იგი კარგად იცნობს პიონერთა სახლს, ეცნობა ცალკეული წრეების მუშაობას, მათ გეგმებსა და ჩატარებულ ღონისძიებებს. ათვალიერებს ახალ წიგნებს სახლის მდიდარი ბიბლიოთეკიდან, აინტერესებს რომელი მათგანია ბავშვების საყვარელი წიგნი, რჩევასა და მითითებებს აძლევს თანამშრომლებს.

გულითადად, მხურვალე ოვაციებით ეგებებიან ბავშვები პიონერთა ბანაკში სტუმრად მისულ პრეზიდენტს. ისინი გარს ეხვევიან, თავიანთი ხელით დაკრეფილ ყვავილების თაიგულებს აწვდიან და თან ყელზე პიონერის ლურჯ ყელსახვევს უკეთებენ. პრეზიდენტი იღიმება და მათთან ისე ხუმრობს, როგორც მამა თავის შვილებთან ოჯახურ წრეში. ბავშვებთან გატარებული ეს დაუვიწყარი დღე მისი საქმიანი ცხოვრების ყველაზე ლამაზი, მზიანი დღეა. იგი ბავშვების ცხოვრებით ცხოვრობს, ესმის მათი, როგორც მეგობარს მეგობრისა. ამასთანავე უხსნის ბავშვებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. ვილჰელმ პიკის სახელობის პიონერთა რესპუბლიკის დაარსების დღესთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში პრეზიდენტი ბავშვებს მიმართავს:

— ეს თქვენი რესპუბლიკაა. იგი მთლიანად თქვენ გეკუთვნით — ნორჩ პიონერებს. ეს შენობები არქიტექტორების პროექტის მიხედვით ჩვენმა მშენებლებმა თქვენთვის ააგეს. არ არსებობს უფრო ლამაზი და წარმტაცი საქმე, ვიდრე ის, რომ ახალგაზრდებს შეუქმნა დასასვენებელი სახლები, სპორტმოედნები, სკოლები... მშენებლები ზოგჯერ გვეკითხებიან: იციან თუ არა პიონერებმა რაოდენ დიდი შრომა, მონდომება და თავდადებაა ჩაქსოვილი პიონერთა რესპუბლიკის მშენებლობის საქმეში?

ვგონებ, ურიგო არ იქნება, ერთ დღეს რომ მოიწვევდეთ მშენებლებს, რათა თვითონვე მოგითხრონ, რამდენი ქვა და აგური, რამდენი სამუშაო საათი დასჭირდათ სკოლის აშენებისათვის. დიახ, პიონერებმა უნდა იცოდნენ, როგორ ზრუნავენ მუშები, ჩვენი მთავრობა ბავშვების ბედნიერი ცხოვრებისა და კარგად სწავლისათვის.

ამ სიტყვებს ოვაციები მოჰყვა. პრეზიდენტს გაუგეს არა მარტო პიონერებმა, მუშებმაც, ვ. პიკმა ხომ მათი გულისთქმა გამოხატა.

პიონერებით გარშემორტყმული პრეზიდენტი ათვალიერებს ბანაკს. მას ბავშვთა საწოლი და სასადილო ოთახებიც აინტერესებს. სამზარეულოშიც კი შედის, ესაუბრება იქ მომუშავეებს, ბავშვების უმადობას ხომ არ უჩივითო. კვლავ და კვლავ შეკითხვებს იძლევა, რათა ნათელი სურათი შეექმნას იმ პიონერთა რესპუბლიკის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, რომელიც მის სახელს ატარებს.

ვილჰელმ პიკი დიდად აფასებს პიონერთა ბანაკის ახალგაზრდა თანამშრომელთა შრომას. უდაოდ ადვილი არ არის, ზაფხულის ცხელ დღეებში პიონერხელმძღვანელად იმუშაო ბანაკში. ამისათვის მოსიყვარულე გული და მაღალი შეგნებულობაა საჭირო. ამ აზრს გამოხატავს პრეზიდენტი, როცა ახალგაზრდა მუშაკებს მიმართავს:

— „თქვენი მოვალეობა რთული, პასუხსაგები და ამავე დროს უმშვენიერესი მოვალეობაა, მშობლებმა განდეს თავიანთი შვილები. მთავრობა, ჩვენი ერთიანი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად მე იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენ საქმეს ღირსეულად შეასრულებთ. თქვენ ნორჩ პიონერებს პირად მაგალითს უნდა აძლევდეთ, ბავშვებმა თქვენი დახმარებით უნდა შეიგნონ, დაინახონ თუ როგორ იღწვიან ადამიანები, ვისაც სამშობლო უყვარს, მისი კეთილდღეობისათვის, მშვიდობისათვის, რომ მშვიდობის დასაცავად მძლავრ იარაღს ისინი მსოფლიოს ხალხებთან მეგობრობაში ხედავენ.

ხალხისა და ქვეყნის უანგარო სამსახურში თვით ვ. პიკს ვინ შეედრებოდა. სიტყვა და საქმე მისთვის ერთი იყო. თავისი ფიქრებითა და აზრებით, თავისი ყოველდღიური საქმიანობით და უზადო მოღვაწეობით პრეზიდენტი მუდამ ხალხთან, ახალგაზრდობასთან იყო, მათ ბედნიერებას ემსახურებოდა.

გერმანულიდან თარგმნა
ლამარა ძინძიბაძემ.
მხატვარი ი. სამსონაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენი უცხოელი თანატოლები

### უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პიონერთა კავშირი

1946 წელს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნისთანავე, კომუნისტებმა და უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წევრებმა მშრომელთა შვილებისათვის შექმნეს დასასვენებელი და ბავშვთა აღსაზრდელი ბანაკები. მანამდე კი, ჯერ კიდევ ხორტისტული რეჟიმის დროს, უნგრეთის მუშა ახალგაზრდობის კავშირმა იატაკქვეშ დაიწყო პირველი პიონერული ჯგუფების შექმნა. პიონერები, ისე როგორც ახალგაზრდათა კავშირი, იმ დროს არალეგალურად მუშაობდნენ.

1946 წლის 2 ივლისს, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, რომელიც იმხანად მთლად ნანგრევებად იყო ქცეული, დემოკრატიულმა ახალგაზრდობამ დემონსტრაცია მოაწყო. გაისმოდა რევოლუციური სიმღერები, ფრიალებდა წითელი და თეთრ-წითელ-მწვანე დროშები. ახალგაზრდობის მხარდამხარ მიაბიჯებდნენ ბიჭუნები და გოგონები — პირველი პიონერული რაზმეულების წევრები. ისინი მაშინ ცოტანი იყვნენ, დღეს კი უნგრეთში ასიათასობით პიონერია.

კავშირი აერთიანებს ბავშვებს 8-დან 16-წლამდე.

8-დან 11-წლამდე ბავშვებს — „კოშბოდოშებს“ („პატარა მედოლეებს“) უწოდებენ. პატარა მედოლეები, 1848 წლის რევოლუციის გმირის ფერგა ბანის მსგავსად, მუდამ მზად არიან მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოუწოდონ თავის ხალხს.

პიონერთა კავშირში შესვლისას მოსწავლეები საზეიმო ფიცს დებენ: „მე, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ნორჩი პიონერი, რაზმეულის დროშისა და ჩემს მეგობარ პიონერების წინაშე პირობას ვდებ, რომ მუდამ დავიცავ პიონერულ წესდებას“. პიონერთა დევიზია: „მშრომელი ხალხისათვის, სამშობლოსათვის შეუდრეკლად წინ!“ პიონერები და „კოშბოდოშები“ ერთმანეთს ესალმებიან სიტყვით „ელეხე!“, რაც ქართულად ნიშნავს — „წინ!“




## კავკასიური დილა

მტრედისფერად ირიჟრაჟა,
დილა არის საამური,
ტყეში ჩიტი ახმიანდა,
მთაში მწყემსის სალამური.
მოკისკისე გოგოს ხმაზე
მოიმღერის ნაკადული,
მწვერვალს იქით მზე იღვიძებს,
ჩვილ ბალღივით გაბადრული.

მთქმელი ა. ჟანდაშვილი (47 წ.).
ჩამწერი ვაჟა ჟანდაშვილი, სიღნაღის რაიონის ქვემო მაღაროს საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.



## მონადირე

დიდებათ გიოოგაია,
არა იცის რა დარდისა,
ბერდენკას გადაიკიდებს,
მთიდან მთად ეგრე დადისა.
მისგან დათოფილ დათუნას
ბეჭვბზე ბოლი ასდისა,
ჩვენ ხორცს გვიგზავნის ახალსა,
საქონს აშორებს ნადირსა.

მთქმელი ა. ბექაური (71 წ.),
ჩამწერი დალი ბექაური, დუშეთის რაიონის გუდამაყრის 8-წლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## ტოპონიმიკა
## მენჯი



ამ მიდამოებში ერთ დროს მხოლოდ საძოვრები და სათიბები ყოფილა. ერთხელ ზაფხულის პაპანაქება სიცხით შეწუხებული ძროხა მწყემსს გაქცევია და შლამ-ტალახში წამოწოლილა: გავგრილდებიო. მენახირეს თურმე მენჯის არეში მწვავე ტკივილები აწუხებდა, მაგრამ ტალახში მაინც შესულა. ძროხა რომ გამოუდენია, დაღლილ-დაქანცული მზისგულზე წამოწოლილა, მერე კი ტანი მდინარეში დაუბანია. იმ წუთსვე ტკივილები მიყუჩებია. ამის შემდეგ ყოველ დილით იზელდა თურმე ტანს ტალახით. სულ მალე განიკურნა. მას სხვებმაც წაბაძეს. ზოგიერთები კიდეც დასახლდნენ აქ. ამ სოფელსა და ადგილმდებარეობას მენჯი ეწოდა.

მთქმელი ძაბა მაქსიმეს ასული ლომია (79 წ.),
ჩამწერი მარინე ბაქრაძე, ხაშურის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## რატომ აქვს ოფოფს თავზე სავარცხელი



იყო თურმე ერთი ზარმაცი პატარძალი. საოჯახო საქმეს ხომ სათოფეზე არ ეკარებოდა, თმის დავარცხნაც ეზარებოდა. ერთხელ დედამთილმა თმაგაჩეჩილს მიუსწრო. პატარძალს შეეშინდა, რაღა ექნა, ქვეყანაზე თავს მომჭრისო. ამიტომ ინატრა: შერცხვენილ ქალობას მირჩევნია ფრინველად ვიქცე და აქაურობას გავშორდეო. წამსვე გამოესხა ფრთები, სავარცხელი კი თმებში შერჩა. ამ ფრინველს ოფოფი ეწოდა.

## ბუ და არწივი



უძველეს დროში ფრინველების მეფე ბუ ყოფილა. მეტად ანჩხლი და ბოროტი ხასიათი ჰქონია: ყველა ფრთოსანს აბუჩად იგდებდა, ჩაგრავდა და ავიწროებდა. არწივს მოთმინების ფიალა ავსებია და ბუტუსურა ბუ ჩხუბში გამოუწვევია. ერთი მაგრად დაუკორტნია და ბოლოს გაუფრთხილებია: ამიერიდან დღისით გამოჩენა არსად გაბედო, თუ გინდა მხრებზე თავი შეგრჩესო. მას შემდეგ ბუ იმალება, გარეთ მხოლოდ ღამით გამოდის.

მთქმელი ისაკ სოლომონის ძე ტაბატაძე (76 წ.)
ჩამწერი გიორგი შუბითიძე, ხაშურის რაიონის ტკოცის 8-წლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდაზები

1. ადუღებულ ქვაბს კიდევ რომ შეუკეთო, გადმოვაო.
2. ადრე ამდგომი შორს წავაო.
3. ზარმაცი შვილის დედასა რა გამოულევს სევდასა.
4. ბულბულს ვარდი უყვარს, ვარდს კი ცის ნამიო.
5. უქნარას შემოდგომაზე მოუკვდება გულიო.
6. როგორი სამართალია, აბა, მითხარი ესაო,
დათვი ტყეში თაფლს დაეძებს, ფუტკარი თაფლის წვენსაო.
7. დროზე მთესველი დროზე მოიმკისო.
8. დღე-მეხვალიე კაცსაო თოვლი მოუვა კარსაო,
ვერც ცოლ-შვილს გამოადგება, ვერც გაახარებს სხვასაო.
9. ზოგი ამბობს ყველაფერსა, უთავბოლოდ ტლაკუნებსო,
ენას თუ კბილს არ დაადგამ, თავში ჩაგირაკუნებსო.

მოქმელი მარო სამსონის ასული დეკანოიძე (81 წ.),
ჩამწერი მორენა შამანაძე, თბილისის 48-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

# დედის საყვედური

ზურაბმა უთხრა დედასა:
— ფშავის მთა მომწონს ცხვრიანი,
შეცხვარეს ბატკანს მოვპარავ,
მწვადი ხომ გიყვარს ცვრიანი?
— ვაი, შენს დედას, ზურაბო,
ვერა გამზრდიხარ ჭკვიანი, —
ნაქურდალ მწვადსა მირჩევნავ,
ტყემალი ვჭამო ჭიანი.

მთქმელი გ. ბექაური (69 წ.),
ჩამწერი ციცინო ბექაური, დუშეთის რაიონის გუდამაყრის 8-წლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლე.

# უნდა მივხედოთ

ხალხმა აღმართა ეს ციხე,
ქვა შეადუღა ქვაზედა,
ასე ლაღად და ზვიადად
მიტომ დაგვყურებს თავზედა.
შიგ დედო ზარი რეკავდა
მტრის მოახლოებაზედა,
ტალიან თოფებს ესროდნენ,
შემსხდარნი ბურჯის თავზედა.
იყო მაგარი ურდულით
ნაკეტი ციხის კარია;
გალავანს შიგნით დიოდა
კამკამა წყაროს წყალია.
აღარ რეკავენ ზარები,
დღეს აღარა ვართ მტრიანნი;
ციხეს კვლავ უნდა პატრონი,
გულს მიკლავს ნაგავ-მტვრიანი,
უნდა მივხედოთ, შვილებო,
სანამ არ არის გვიანი.

მთქმელი ი. დავითაშვილი (85 წ.),
ჩამწერი ლეილა ბათურაშვილი, ახმეტის რაიონის მატნის საშუალო სკოლის მოსწავლე.






თამარ მეფეს დიდი ომი მოუგია და გამარჯვებულს ამ სოფელში გამოუვლია თავისი ამალით. დიდებულ გუნებაზე ყოფილა, თავის ბედაურს თურმე სულ სიცილ-კისკისით მოაგოგმანებდა. მეფის ნაფეხურებზე ვარდის ბუჩქები ამოდიოდა, ხოლო მის სიცილზე ვარდის კოკრები იფურჩქნებოდა. ორიოდე წუთში მთელი გზა-შარა ვარდებით დაფარულა. თამარს მიუხედავს უკან და უბრძანებია: ამ სოფელს ვარდისუბანი დაერქვასო. ეს სახელი დღემდე შემორჩა.

მთქმელი თამარ ხოხოგაშვილი (51 წ.),
ჩამწერი დარო ბათურიშვილი, ახმეტის რაიონის მატნის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

# ძველებური ნანა

ეძინება ჩემს ბიჭიკოს,
ნანა-ნანი-ნაო;
დაიხსომე დედის სიტყვა,
ჩემო პატარაო, —
შენმა დედამ მძიმე ტვირთი
დიდხანს ატარაო,
მამაშენმა ბატონისთვის
ოფლი დაღვარაო,
იმ ვერაგმა სულ გაგვკრიჭა,
როგორც ცხვრის ფარაო;
მღვდელიც ცუდად გვექცეოდა,
წვერებცანცარაო.

ახლა, შვილო, სხვა დრო დადგა,
ჩემო პატარაო,
ოქტომბრის მზე აკაშკაშდა,
გზა გაგიბრწყინაო,
დაიძინე უდარდელად,
შენ პაწაწინაო.

მთქმელი კასანა ლომიძე (60 წ.),
ჩამწერი მაგული ასანიძე, ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

# წლის დილა

გაზაფხულობით ბუნების ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. სიცოცხლის აღზევების, გაფურჩქვნისა და გალამაზების ხანა. იხსნება იგი მარტით — გაზაფხულის პირველი თვით. „წლის დილა“ — ასე უწოდა მას დიდმა რუსმა პოეტმა ალ. პუშკინმა.

ქარბუქიანი, თოვლიანი და ყინვიანი ზამთარი უკან დარჩა, თუმცა თავისას ადვილად' მაინც არ თმობს. ზოგჯერ ძველებურად წამოუბერავს, აჭყაპდება, ღამღამობით მოყინავს კიდეც, ტყუილუბრალოდ ბრაზობს ზამთარი — კარზე მომდგარ გაზაფხულს ველარაფერი შეაჩერებს.

დიდბაია



გვეწვია გაზაფხული. მთაში უფრო გვიან, ბარში უფრო ადრე, მაგრამ მაინც გვეწვია. ალაზნისა და მტკვრის, რიონის ჭალებსა და დაბლობებში ყვავილების ოაზისად გადაპენტილა ტყემალი, ნუში, ვაშლი, ალუბალი... მთის ხეობები კი ჯერაც თოვლის ნამქერებით არის ამოვსებული, თუმცა, აქა-იქ, აქაც გაუღვიძნიათ ყვავილთა შორის გაზაფხულის პირველ მერცხლებს — ენძელებსა და კეკლუც ყოჩივარდებს.

ტყეშიაც დაიწყო გაზაფხული. მზე — ჩვენი დიადი მნათობი სულ უფრო ხშირად ახსენებს თავს სითბოსაგან მივიწყებულ ფერდობებსა და ლარტაფებს, კიდევ მეტად ტყისპირებსა და მდელოებს. აქ ყველაფერი ბუნების მკაცრად დადგენილი და არა ასტრონომიული კალენდარით მიმდინარეობს.

წლის დილასთან ერთად იწყება მცენარეებში წვენთმოძრაობა. დიდმა და პატარა მცენარეებმა, როგორც იქნა თავი დააღწიეს ხანგრძლივ ძილს და ახლა ვითარცა ძარღვებში სისხლმა, მათ სხეულშიაც იწყო მოძრაობა სასიცოცხლო წვენმა. პირველი „სიხარულის ცრემლები“ გადმოღვარა ნეკერჩხალმა და არყმა. აქაოდა სხვებმა არ დაგვასწროსო, პირველი სამკაულებით — საყურეებით შეიმკნენ წნორი და მდგნალი. მათ მოჰყვა თხილი: ნაზი, წითელი, მდედრი ყვავილები მორცხვად იცქირებიან კვირტების წვეროებიდან. მამრები კი სადაცაა გადმოაფრქვევენ მტვრის ღრუბლებს. ყვავილობს მურყანი.

საოცრად ლურჯია ზეცა, კიდევ უფრო ლურჯი— ტყის ტევრი. გაზაფხულის ჭარბი წვენით დაღლუებულ ვერხვის ტოტზე შემოჯდა შოშია, თავი გვერდზე მოიქცია და გაზაფხულის საგალობელი შემოსძახა. თითქოს სოლოს ელოდნენო, მაშინვე აიტაცეს ტყის სხვა ბინადრებმა გაზაფხულის ეს მხიარული მელოდია. ყველა თავის ყაიდაზე, თავის ენაზე აქებს სითბოსა და სინათლის მოსვლას. ფრთოსანთა შორის, რომლებიც უშეცდომოდ — იყნოსავენ გაზაფხულის — მოსვლას, ყვავებიცაა. იყნოსავენ და მაშინვე შეუდგებიან ბუდეების აგება-მოწესრიგებას. გარედან ბუდე უხეში და შეუხედავია, მაგრამ შიგნით მყუდრო და თბილი, საგულდაგულოდაა მოფენილი ბუმბულითა და ნადირთა ბეწვით. ჯერ კიდევ ცივა ტყეში, ჯერ კიდევ შემორჩენილა თოვლი, მაგრამ ყვავს უკვე დაუდვია პირველი კვერცხი. ყოველი მხრიდან მოისმის წიწკანების მოუსვენარი „ტი-ტი-ტი“. ტყე სავსეა კოდალების ტყვიამფრქვევისებრი კაკუნით, ბელურების ჟივჟივით, აღარ ჩუმდებიან ტყის „ჭორიკნები“ კაჭკაჭები და ჩხიკვები.

სხვადასხვანაირად ჟღერს ტყის ამ სიმფონიაში ცალკეული მონაწილის სიმღერა. უმეტესობა ბულბულივით როდი გალობს, მაგრამ ვიყოთ სამართლიანი, გაზაფხულის თითოეული სიმღერა გულითაა ნათქვამი, მათში ძნელია ყალბი ნოტის დაჭერა. აქ ყველაფერია ჩაქსოვილი: ნამოგზაურალნი ჰყვებიან ამბებს შორეულ ქვეყნებზე, ძნელ და რთულ გზაზე, სამშობლოში დაბრუნების სიხარულზე, ადგილობრივები — ცივსა და თოვლიან ზამთარზე, საკვების ნაკლებობაზე... და რაც მთავარია, ამ სიმღერებში უხვადაა ჩაქსოვილი გაზაფხული, სიყვარული გაღვიძებული სიცოცხლისადმი, დაუოკებელი ლტოლვა ტოლისადმი!

მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაზაფხულის პირველი თვე თავისი ხასიათით ერთობ ჭირვეული და არამდგრადია. ხშირად ამოვარდება ქარბუქი, ზოგჯერ მოთოვს კიდევაც, ღამ-ღამობით კი ზამთარივით ყინვებს დაიჭერს. ეს უნდა გაითვალისწინონ ბუნების ნორჩმა მეგობრებმა და ეცადონ გადაარჩინონ გაჭირვებაში ჩავარდნილი სასარგებლო ცხოველები. ეს ყველაზე მეტად გაზაფხულის პირველ მახარობლებს — ფრინველებს

ყვითელი ღვინა



პრიმულა — პირველყვავილი.



ეხებათ. საჭიროა მათთვის საკვების ორგანიზაცია ახლომახლო ტყეებში, პარკებში, სკვერებში, ბაღებში. საჭიროა მოეწყოს ახალი ხელოვნური ბუდეები, ისე, როგორც ეს ვაკის გამარჯვების სახელობის პარკშია, შეკეთდეს, გაიწმინდოს ძველები. და ყველაფერი ეს ფრინველთა მოფრენამდე უნდა გაკეთდეს.

მოჭარბებულმა სინათლემ და ფრინველთა ხმაურმა ძილი დაუფრთხო, გამოაფხიზლეს მაჩვი და ენოტისებური ძაღლი, კურდღლებს პირველი ბაჭიები შეეძინათ, ასევე პირველად იხილა დღის სინათლე ციყვების, გარეული ღორების, მაჩვების შთამომავლობამ. შეწყვილებისათვის ემზადებიან ფოცხვერები, კვერნები. შვლებს ეზრდებათ ახალი რქები — მათი მშვენება და იარაღი. ძველი რქები სძვრებათ ირმებს — დღეს ერთი, ხვალ მეორე. ხის ტოტებზე, ბუჩქებზე სულ უფრო ხშირად ჩნდება სხვადასხვა ფერის ბლუჯა-ბლუჯა ბეწვები: რუხი, მწითური, თეთრი — ზამთრის ქურქების გამოცვლის დროც დადგა.

მარტში თავისუფლდებიან მდინარეები ყინულის ჯავშნისაგან. ქარიყლაპიები, ზოგიერთი სხვა თევზებიც იჩქარიან საქვირითოდ.

დადგა ნანატრი გაზაფხული. ვინ იცის, რამდენ სიურპრიზს გვიმზადებს დედა ბუნება ზამთრისა და ზაფხულის ამ თავშესაყარზე.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

იისფერი ფურისულა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იური სოტნიკი

# როგორ ვიყავი დამოუკიდებელი

მხატვარი რ. ცუცქირიძე.

მოთხრობა.

ბინაში უთავბოლო ყიალს მოვყევი. კარგად მესმოდა, რომ წესრიგში უნდა მომეყვანა დასვრილი ოთახი. ცომის მოფხეკა მაინც მეცადა ცხენიდან, პირველ რიგში კი პირში ლუკმა ჩამედო, მაგრამ ისე ვიყავი აფორიაქებული, თავი ვერაფრისთვის მომება. დროდადრო ფანჯრის რაფაზე ვდგებოდი.

ჩვენი სახლი პირველი მრავალსართულიანი შენობა იყო ამ რაიონში. გარშემო ხის სახლები და ქოხმახები ეკრა, თავის მხრივ ათასნაირი ფარდულებითა და გალიებით შემოჯარული. ერთ ასეთ გალიაში ბინადრობდა ალბათ, ეს ოხერი თხაც.

გავიდა ოცი წუთი, ნახევარი საათი. მსახიობები არ ჩანდნენ. მე ვიფიქრე, რომ არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო სხეისი თხის მოთრევა ზაფხულის კვირადღეს ღია ეზოების გავლით. იქნებ, ჩემდა ბედად, მსახიობები დანაშაულის ადგილზევე დააკავონ. როცა საათმა სამი დაჰკრა, გულზე მომეშვა და სამზარეულოს მივაშურე, რომ სადილი გამეცხელებინა.

— ლიოშა, ლიოშა! გააღე! — მომესმა ამ დროს გალიას შეშფოთებული ხმა.

შუა გზაზევე გავშეშდი, ფანჯარასთან მივირბინე, მაგრამ ეზოში არავინ იყო. შემკრთალი წავლასლასდი დერეფნისკენ და კარი გავაღე. მსახიობები არ დამინახავს. მხოლოდ გავიგონე, რომ ჩემი კიბის ბაქნის ქვეშ, ეხმო, მაგრამ თავგანწირული ბრძოლა იყო გამართული. იქ ქშინავდნენ, ხვნეშოდნენ და ფეხებს აბაკუნებდნენ, დროდადრო რაღაც გააფთრებით ფრუტუნებდა. ხანდახან რაღაც ეხეთქებოდა არ ვიცი, კედელზე თუ საფეხურებზე.

— რქები! რქები დაუჭირეთ! რქებს არ გაუშვათ ხელი! — ისმოდა ქვემოთ ხრინწიანი ხმები.

— მიდი! ცოტა კიდევ! მიდი! ერთი კიდევ!..

— ვაი! უი!

— ჩუმად! გაიგონებენ!

— ფეხი აუწიე! ფეხი აუწიე! აუწიე ფეხი... უჰ... არის!

— რა არის?

— ტუჩებში ჩლიქი მომარტყა.

— მიდი! კიდევ ერთხელ! მიდი!.. რა დღე დამადგება შარვლის გახევისთვის. მიდი!.. აღარც დაკერდება.

მაგრამ, აი, ბაქნისკენ მომავალ კიბეზე გამოჩნდა უამრავი ხელი, ფეხი, შეკრეჭილი კისრები და გაჩეჩილი ნაწნავები. ყველაფერი მოძრაობდა, კრთებოდა და ნელ-ნელა მიახლოვდებოდა.

შიშისაგან ცოცხალ-მკვდარმა უკან დავიხიე დერეფანში, მაგრამ კარი არ დამიკეტია. აი, მსახიობთა ჯგრო ბაქანზე გამოჩნდა. ერთი წუთი კარის წინ წვალობდნენ, მერე რაღაც მოხდა და წინკარში ერთბაშად შემოცვივდნენ ტუჩგასისხლიანებული დუდკინი, ორი რომელიღაც მსახიობი და თხა. თხა შავი იყო, თეთრხალებიანი. დრუნჩის თეთრ ნახევარზე ცალი თვალი არა ჰქონდა, შავ ნახევარზე კი თვალი ფართოდ გაეღო და უაზროდ იყურებოდა, როგორც შვილის მკვლელი ივანე მრისხანე იყურება სურათიდან. მარჯვენა რქაზე, მალაზიის ჩეკივით იყო წამოცმული შავი მატერიის კვადრატული ნაჭერი.

— კარი! — შემომძახა დუდკინმა და გასასვლელისაკენ გაქანდა. — დაკეტე ყველა კარი! თორემ წასულია შენი საქმე!

თხა შემობრუნდა, მოხდენილად შედგა ყალყზე, დუდკინმა ერთი შეჰყვირა და კარი გაიჯახუნა. წუთიც და თხა რქებით ისე დაეჯახა კარს, რომ ზემოდან ბათქაში ჩამოცვივდა.

გავშეშდი. ხუთიოდე წამი ვერც

---

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 1.

ხელი გავანძრიე, ვერც ფეხი. რაღაც ბუნდოვნად, ყურებდაგუბებულივით მომესმა, რომ ვიღაცამ კარზე მუშტით სუსტად დააკაკუნა.

— ბიჭო! ბიჭო! — აწუწუნდა ვიღაც გოგო წვრილი ხმით. — რქაზე ჩემი წინსაფრის ჯიბე შერჩა თხას. ბიჭო, ჰეი ბიჭო, რქაზე ჩემი ჯიბე აქვს წამოცმული.

მე, რა თქმა უნდა, ჯიბის დარდი არა მქონდა. თხა ისევ შემომიბრუნდა, რქები ძირს დაალირა და მოკლე ნაბიჯებით გამობაკუნდა ჩემკენ. მე ოთახში ვდურთე და კარი ჩავიკეტე.

— მეტი არ არის შენი მტერი, მაგან მე ზურგზე არ შემისვას, — მომესმა ეზოდან დუდკინის ხმა. — ისევ მუყაოსი მირჩევნია. ვითომ რაო, სიცოცხლე მომბეზრებია, თუ რა!

არ გამიგონია, რა უპასუხეს მას. შუმკა, რომელიც აქამდე მხოლოდ გაღიზიანებული წკმუტუნებდა მეზობელ ოთახში, უცებ გაბმით აყეფდა. იქ შესვლა დავაპირე, მაგრამ უკან გადმოვხტი. თხა უკვე მშობლების ოთახში იყო. მეორე კარიდან შებრძანებულიყო, რომლის დაკეტვა აზრადაც არ მომსვლია. ის აუჩქარებლად ტრიალებდა, შუმკას რქებით იგერიებდა, ძაღლი გააფთრებისაგან ბჟირდებოდა, მკერდით იატაკს ებჯინებოდა, თავის მხრივაც გარს უტრიალებდა თხას და ერთი სული ჰქონდა კოჭში სწვდომოდა. ამ ოთახის კარს საკეტი არ ჰქონდა. მე ხავერდის მძიმე სავარძლის ბარიკადი აღვმართე კარზე. და დაიწყო ორომტრიალი. ყეფამ, ბაკაბუკმა, ფრუტუნმა ნელ-ნელა სამზარეულოსაკენ გადაინაცვლა, იქ ამასობაში რაღაც მძიმე რკინამ დაიგრუხუნა, მერე ბრძოლის ხმა ისევ მეზობელ ოთახში გადაადგილდა. მე მთელი ბინიდან მოწყვეტილი აღმოვჩნდი. სამზარეულოდან პროდუქტების გამოტანა აღარ შემეძლო. ჩემთვის მიუღწეველი იყო თვით საპირფარეშოც, საითაც ასე გულით მივისწრაფოდი. გულშემოყრილი თითებს ვიმტვრევდი, ოთახში წინ და უკან დავბორიალობდი და ვფიქრობდი, როგორ შემომეშვა არტისტები, როცა ისინი თხის წასაყვანად მოვიდოდნენ. და ისიც საკითხავია, მოვიდოდნენ თუ არა საერთოდ სპექტაკლის დაწყებამდე, თუკი დუდკინმა უარი თქვა თხაზე შეჯდომაზე?!



შუმკა ისეთი ჯიშისა იყო, საკმარისი გახლდათ, ჩვენს ბინასთან კიბეზე ვისმეს გაევლო, რომ ერთი ხუთი წუთით ისტერიკა დამართოდა. თხა ჩვენს ბინაში ოთხის თხუთმეტ წუთზე გამოჩნდა. ზუსტად ოთხზე სახლში ისეთივე რიარია გრძელდებოდა და შუმკას ხმა არც კი ჰქონდა ჩახრინწული. ეზოდან კარგა ხანი მოდიოდა ხმები:

— რა უმსგავსობაა!

— ეს ოცდამეორეშია!

და შუმკამ, როგორც იტყვიან, თხარა, თხარა და კატა გამოთხარა.

უეცრად ყეფა შეწყდა. მან ერთი ამოისლოკინა, მეორე წუთში კი ისეთი ავისმომასწავებელი, ისეთი საშინელი ხმით აჭყვირდა, რომ მე გავიფიქრე: „მორჩა, შუმკას საქმე გათავებულია!“

— ეი, ოცდამეორე! — რა მოგივიდათ თქვენ მანდ, ხომ არ შეიშალეთ? — აყვირდნენ ეზოში.

— შეწყვიტეთ ეგ ხულიგნობა, გესმით თუ არა!

თვითონაც არ ვიცოდი, რისთვის, ფანჯარასთან მივედი, ეზოს ამ მხარეს ორსართულიანი ძელური სახლი იდგა. მისი ფანჯრებიდან მცხოვრებლები იხედებოდნენ. რამდენიმე კაცი და ქალი პარმაღზე და მის მახლობლად იდგა და ჩვენი ბინის ფანჯრებს შემოსცქეროდნენ. თვალი მომკრეს თუ არა, მაშინვე მეცნენ:

— ეი, პატარა! შენა ხარ მანდ, უმსგავსოდ რომ იქცევი?

— განა, სინდისი არა გაქვს, ძაღლს რომ ასე აწვალებ?

— დედ-მამა წაუვიდა და სულ აიშვა თავი!

შუმკას ყმუილისაგან თავში რაღაც მიხმაურებდა, გული ტანჯვით მეკუმშებოდა, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ ვცადე მეჩვენებინა ჩემი დამოუკიდებლობა. ფანჯარაში ნაღვლიანად გადავიხედე და ღონემილეული, მომაკვდავი კაცის ხმით ჩავიტიტინე:

— თქვენ... თქვენ არ გესაქმებათ. მე... მე თვითონ... მე თვითონ ვიცი, რასაც გავაკეთებ. ეს ჩვენი ბინაა. და... და თქვენ არ გესაქმებათ.

მე ფანჯარას მოვშორდი. უცებ შუმკამ ყეფა შეწყვიტა და სამზარეულოში გულმოკლული წკმუტუნი მორთო.

— უხეში! გაუთლელი! — თითქოს ამბობდა ის, ალბათ სადღაც გაზქურის ქვეშ შემძვრალი — შენთან კაცმა საერთოდ არ უნდა დაიჭიროს საქმე.

ცოტა რომ იწკმუტუნა, მერე დაწყნარდა. ბინაში სიმყუდროვე ჩამოვარდა. მე ფეხებაკეცილი დავჯექი საწოლზე. ზურგით კედელს მივეყრდენი და გავჩუმდი. მოპირდაპირე კედელზე ეკიდა სარკე, რომელშიც ჩემი გამოსახულება ილანდებოდა.

არასოდეს ასეთი ყვიციანი და გალეული არ მომჩვენებია ჩემი თავი.

ვიყურებოდი სარკეში და ვფიქრობდი, ალბათ კიბო მაქვს-მეთქი. უფროსებისაგან გამეგონა, რომ კიბო ნერვიულობის ნიადაგზე ჩნდებოდა და მისი პირველი მაუწყებელი სიგამხდრე იყო.

საათმა ხუთის ნახევარი ჩამოჰკრა, მაგრამ მე უკვე აღარ ველოდებოდი არტისტებს. კარგად მესმოდა, რომ ხალხით გაჭედილ ეზოში ჩემგან თხას ვერ გაიყვანდნენ.

— ბრძანეთ, გისმენთ!

მილიციელი უხერხულად იღიმებოდა:

— არც კი ვიცი, როგორ დავიწყო... მოკლედ აი, ამ მოქალაქისაგან შემოვიდა განცხადება, რომ თქვენს ბინაში... მისი... ასე ვთქვათ შინაური ცხოველია.

— რა სისულელეა? რა ცხოველი?

— თხა, — აუხსნა მილიციელმა, რატომღაც ხმის დაწევით.

— რა-ა?

— თხა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო.

მამამ ამომხედა. თვალები უელავდა.

— ალექსეი! რა მოხდა? რა ამბავია მანდ შენს თავს?

„მე-ე-ე-ე!“ — დაიკიკინა თხამ ჩემს ზურგს უკან.

●

რა მოხდა შემდეგ, ამის მოყოლა არ არის საჭირო. ყველაზე მძიმე დარტყმა შიგ გულში მეორე დღეს მომაყენეს.

მამა სამსახურში იყო. დედა მაღაზიაში წავიდა. მე გარეთ გასვლა ამიკრძალეს. წამოვწექი ფანჯრის რაფაზე და ეზოში ვიყურებოდი. ჩემს ქვევით გალია და სხვა თეატრალური მოღვაწეები ჩამომსხდარიყვნენ.

გუშინდელ სპექტაკლს წარმატებით ჩაევლო, მიუხედავად იმისა, რომ ფირფიცრის თხით დაკმაყოფილდნენ. ცოცხალი თხისთვის, მართალია, მათაც მოხვდათ, მაგრამ ეს უკვე დავიწყებოდათ და ახალი დადგმის გეგმებს აწყობდნენ.

— თექის ჩექმებს პარტიზანებისათვის ვიშოვით, მოკლე ქურქებიც მოიძებნება, — ამბობდა სენია ტარაკანოვი,—მაგრამ აი რევოლვერის ბუდე თავისი აშურმით და საველე ჩანთა მოსაძებნი გვაქვს.

— ლიოშკა გვიშოვის, — თქვა გალიამ. — იმას მამა სამხედრო ჰყავს.

— რომელი ლიოშკა, ოცდამეორიდან? — ჩაერია დუდკინი. — ვერა, ვერ გვიშოვის. მამამისი იმას აღარაფერს მისცემს.

— ლიოშკას? უჰ! მე ვეტყვი, დამოუკიდებელი ხარ-მეთქი და სულაც დაუკითხავად აიღებს. იმას, როგორც მინდა, ისე ვატრიალებ ჩემს ჭკუაზე.

თარგმნა ვალენტინა ძიძიგურმა.



## პასუხი 1975 წლის № 11-ში დასმულ კითხვაზე



# საქართველოს სსრ მთავრობის სახლი

ყოველ ქალაქს აქვს მთავარი ქუჩა, პროსპექტი, რომელიც ერთადერთია თავისი განუმეორებლობით, სილამაზით, მშვენიერებით. იგი ღრმად რჩება მეხსიერებაში და შემდგომ თვით ქალაქის თავისებურ სინონიმადაც კი წარმოგვესახება. ასეთია ლენინგრადისათვის ნევის პროსპექტი, კიევში — კრეშჩატიკი, მოსკოვში — გორკის ქუჩა...

თბილისს აქვს რუსთაველის პროსპექტი — ქალაქის მთავარი არტერია, მისი მშვენება, თანამედროვე თბილისის ცხოვრების გული, მისი დღევანდელი დღე და წარსული. აქ დროთა განმავლობაში აღმართულან მთელი რიგი ღირსშესანიშნავი შენობები. მათი წყალობით თვით პროსპექტმაც შეინარჩუნა პირველობა — თანამედროვე თბილისის უმნიშვნელოვანესი მაგისტრალის ფუნქცია მიუხედავად ქალაქის ზრდასთან დაკავშირებით გეოგრაფიული ცენტრის გადანაცვლებისა საბურთალოს მიმართულებით.

ის, რომ პროსპექტმა არ დაკარგა თავისი ადრინდელი როლი, პირველყოვლისა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იგი იყო და რჩება ქალაქის მთავარ ადმინისტრაციულ-კულტურულ ცენტრად. ლენინის მოედნიდან რუსთაველის მოედნამდე გამწკრივებულან რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ადმინისტრაციული დაწესებულებანი. აქ არის სასტუმროები, თეატრები, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, სამხატვრო გალერეა, მუზეუმები, კინოთეატრები, პიონერთა სასახლე და რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოთა შენობა — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სახლი.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის აგება გადაწყდა 1932 წელს. მთავრობის სპეციალური დადგენილების თანახმად ამ სახლში უნდა განლაგებულიყო უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანოები, მაშინ — ცაკი და სახკომსაბჭო ყრილობათა დარბაზით, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი დაწესებულებანი. მთავრობის სახლისათვის შერჩეულ იქნა ადგილი ქალაქის ცენტრში რუსთაველის პროსპექტზე, სადაც უწინ ყოფილი სამხედრო ტაძრის დიდი „ბიზანტიურ-მავრული“ სტილით ნაგები შენობა იდგა. მთავრობის სახლის მშენებლობის კომიტეტმა შექმნა ჟიური, რომელშიც, სხვათა შორის, მონაწილეობდნენ ცნობილი საბჭოთა არქიტექტორები ა. სჩუსევი და ვ. ვესნინი. პროექტს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამიტომ შექმნილი იყო სპეციალური საკონსულტაციო კომისია, რომელშიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები შედიოდნენ: მხატვრები, მოქანდაკეები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვანი.

1932 წლიდან 1935 წლამდე კონკურსმა 5 ეტაპი განვლო და მან ქართულ საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში მეტად საინტერესო ადგილი დაიკავა. ჯერ კიდევ კონკურსის მსვლელობისას დაიწყო ამ რთული სამშენებლო კომპლექსის ერთ-ერთი კორპუსის მშენებლობა. ეს ეგრეთწოდებული ზედა კორპუსია (მისი მშენებლობა 1938 წელს დამთავრდა), რომელიც ახლაც აშკარად გამოირჩევა უკვე ომის შემდგომ პერიოდში მის წინ აშენებულ მთავარ კორპუსისაგან, რომლის მშენებლობა 1953 წელს დამთავრდა. ამდენად, ახლა განსხვავებით საკონკურსო პროექტებისაგან მთავრობის სახლი ორი კორპუსისაგან შედგება. ზედა კორპუსის ავტორია არქიტექტორი ვ. კოკორი-

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

❋

ბავშვებო, ამ სურათზე გამოსახულია ივრის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის ნაწილი. რა ჰქვია ამ ძეგლს და საერთოდ, რა იცით მის შესახებ?

❋



ნი, გ. ლეჟავას მონაწილეობით. ხოლო მთავარი კორპუსისა — არქიტექტორები: ვ. კოკორინი და გ. ლეჟავა ვ. ნასარიძის მონაწილეობით.

როდესაც მთავრობის სახლის მშენებლობაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზედა კორპუსზე ახალი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების თამამი გამოყენება, რაც მას იმდროინდელ მოწინავე მშენებლობათა რიგებში აყენებდა.

საქართველოს მთავრობის სახლის ზედა კორპუსი რუსთაველის პროსპექტიდან ფართო ეზოს სამი მხრიდან ერტყმოდა. ეზო გაფორმებული იყო მწვანე ნარგავებით, პარტერებით, აუზებით, ქვედა კორპუსი ამ ეზოს წინა მხრიდან მიედგა, მაგრამ შენარჩუნებული იყო საერთო კომპოზიციური ღერძი — პროპილეები, რომელიც მთავარი არქიტექტურული თემაა ნაგებობაში. იგი აერთიანებს ზედა და ქვედა კორპუსის არქიტექტურას და საზეიმო შესასვლელს ქმნის შიდა ეზოსაკენ, რომელიც აგრეთვე ამ ორი კორპუსის გამაერთიანებელ ბირთვს წარმოადგენს.

ზედა კორპუსის ფასადები, მიუხედავად გარკვეული ერთიანობისა, ავტორს სხვადასხვანაირად აქვს დამუშავებული. ღია თაღოვანი გალერეები, ლოჯიები, მასებისა და დეტალების სასიამოვნო პროპორციული გადაწყვეტა გარკვეულ მომხიბვლელობას ანიჭებს შენობის არქიტექტურას. განსაკუთრებით გამოირჩევა ჩიტაძის ქუჩის მხარეს გამოსული ფასადი.

მთავრობის სახლის წინა კორპუსი მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს ფრთებისაგან შედგება, რომელიც განცალკევებულია პროპილეებით. ამ ორ კორპუსს აერთიანებს რუსთაველის მხრიდან მაღალი თაღედი, რითაც იგი ერთიან შთაბეჭდილებას ტოვებს.

უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს კორპუსებში გეგმა ვესტიბულის გარშემო ოთახთა განლაგებას ემორჩილება. მინისტრთა საბჭოს მხარეს ვესტიბულის ერთიანი სივრცე ხუთი სართულის სიმაღლისაა, რაც განსაკუთრებულ საზეიმო ხასიათს აძლევს ინტერიერს. უმაღლესი საბჭოს ფრთაში ზედა ორი სართული ვრცელ 900-კაციან სხდომათა დარბაზს უკავია.

როგორც აღინიშნა, ფასადთა არქიტექტურაში მთავარი თემა თაღედია, იგი ორიგინალურად არის გადაწყვეტილი. არქიტექტორებმა არ „გაჭრეს" შენობა კაპიტელებით, რითაც შეიქმნა თავიდან ბოლომდე კედლის ერთიანი სიბრტყის შთაბეჭდილება, რაც ხაზს უსვამს შენობის მონუმენტურ ხასიათს. თაღების ვიწრო, მაღალი პროპორციები კარგად ეთანხმება რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურას და ორგანულად ერწყმის მთელ განაშენიანებას. არქიტექტორები განსაკუთრებულ დეკორატიულ აქცენტს სვამენ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შესასვლელებზე. აქ გამოყენებული ორნამენტები ქართული ისტორიული არქიტექტურის რეპერტუარიდან არის აღებული.

საერთოდ შენობაში დეკორატიული მორთულობა ზომიერად არის გამოყენებული. მთავარ ფასადზე ყურადღებას იპყრობს სამკუთხა ფრონტონი გადაშლილი დროშების გამოსახულებით, რომელთა ცენტრში საბჭოთა საქართველოს გერბია მოთავსებული. შენობის მთელი მოცულობა ბოლნისის ოქროსფერი ტუფის ქვის პერანგშია ჩასმული, რაც ხაზს უსვამს ნაგებობის მონუმენტურობას, ხოლო ცალკეული დეკორატიული მოტივები მეტ სიკოხტავეს ანიჭებენ მას.

საქართველოს მთავრობის სახლი ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს.

გია ჯანბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



განყოფილებას ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

## პირველი დიდოსტატი ქალი

„უნიკალური მოვლენა ჭადრაკის ისტორიაში". — ასე უწოდა გენიალურ ქართველ მოჭადრაკე ქალს ნონა გაფრინდაშვილს ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა ბაკერმა. ვაჟთა ტურნირებში გაფრინდაშვილის მიღწეულმა წარმატებებმა განაპირობა ქალებში დიდოსტატის წოდების დაწესება.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ერთადერთი მოჭადრაკე ქალია, რომელიც ატარებს სსრკ სპორტის ოსტატის და საერთაშორისო ოსტატის წოდებას ვაჟებში.

გთავაზობთ პარტიას, რომელიც თავისი კლასიკური უბრალოებით გვხიბლავს და გვასწავლის კიდეც. იგი ნათამაშევია ქალთა VI საერთაშორისო ოლიმპიადაზე (მსოფლიოს გუნდური პირველობა ქალებში).

### კომბინაციური მოტივების შექმნა ჭადრაკის პარტიაში (ცენტრში დარჩენილი მეფე)

პარტია № 3

სიცილიური დაცვა

თეთრები: ნ. გაფრინდაშვილი
(სსრკ)
შავები: ე. პოლიქრონიადე
(რუმინეთი)

ბოგოტა, 1974 წ.

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 e5 6. მd—b5 d6 7. a4.

ჩვეულებრივ აქ 7. კg5 თამაშობენ. ტექსტში სვლა პროფილაქტიკურია, a6-ის შემდეგ არ დაუშვას b7—b5.

7. ... a6 8. მa3 კe6 9. კc4!!

ეს სტრატეგიული (1. კონტროლი d5-ზე, 2. მოწინააღმდეგის „კარგი" კუს გაცვლა) სვლა კომბინაციურ გართულებებთანაა დაკავშირებული — ღრმად და შორს განჭვრეტილი მსოფლიო ჩემპიონის მიერ.

9. ... კ:c4 10. მ:c4 მ:e4.

ანალოგიურ პოზიციებში ფიგურის დროებითი, სტანდარტული შეწირვა თამაშის გასათანაბრებლად.

11. მ:e4 d5.



შავებმა თავისას მიაღწიეს და... როგორც პარტიის მსვლელობა გვიჩვენებს, მიიღეს წასაგები პოზიცია!

მიაქციეთ ყურადღება: წამიერად, მაგრამ მაინც თეთრებს ზედმეტი ფიგურა აქვთ, მხედრები ცენტრალიზებულია. თეთრები მაქსიმალურად იყენებენ სვლის უფლებას.

12. კg5!!

საერთოდ, ყველაზე ძნელია გაგება, თუ რა მომენტში მომწიფდა პოზიცია კომბინაციისათვის. კომბინაცია წარმოიშობა მოწინააღმდეგის პოზიციაში სუსტი და კრიტიკული პუნქტების (კრიტიკული — როცა თავდასხმა და დაცვა გაწონასწორებულია) არსებობისას, რადგან ისინი წარმოშობენ მოტივებს კომბინაციისათვის. ვნახოთ, როგორ იქმნება კომბინაციური მოტივები ჭადრაკის პარტიაში.

12. ... f6 (იძულებითია) 13. კ:f6! gf.



შევისწავლოთ შექმნილი მდგომარეობა: შავების პოზიციაში იყო ერთი კრიტიკული პუნქტი „d5". კუს შეწირვით შეიქმნა მეორე კრიტიკული პუნქტი — „f6. ყოველივე ამან გამოიწვია შავი ლაზიერის გადატვირთვა (ეს უკვე მოტივია) — ის ორ ფუნქციას ასრულებს: იცავს „d5" და „f6" პუნქტებს. დააკვირდით: d5, f6 და e8 (მფ) ერ-



ნონა გაფრინდაშვილი.

თმანეთისაგან „მხედრის სვლით" არიან დაშორებულნი (ეს მეორე მოტივია).

14. ლ:d5!

კომბინაციის Pointe — მწვერვალი. ლაზიერის დროებითი შეწირვით ხორციელდება „ჩათრევის" იდეა. ამ ტაქტიკური დარტყმის სიძნელე იმაშია, რომ თეთრებს ეს ჯერ კიდევ მე-9 სვლაზე უნდა ჰქონოდათ გათვალისწინებული. 14. ...ლ:d5-ს მოჰყვება 15. მ:f6+ ორმაგი დარტყმა (ეს კი კომბინაციის თემაა). საყურადღებოა, რომ სწორედ ამ მუქარის წყალობით თეთრმა ლაზიერმა იდეალური პოზიცია დაიკავა!

ბრწყინვალედ ცენტრალიზებული და კოორდინირებული თეთრი ფიგურების წინააღმდეგ შავების დალეწილი და გაუვითარებელი პოზიცია სრულიად უმწეოა.

14. ... მd4 15. 0—0—0 კe7 16. მe—d6+ კ:d6 17. მ:d6+ მფe7 18. ე:d4!

საკითხის უმოკლესი და ეფექტური გადაწყვეტა.

18. ed 19. ეe1+ შავები დანებდნენ.



ზედმიწევნით სასწავლო პოზიციაა! ნაკლები ხარისხის მიუხედავად, თეთრებს ძალთა უპირატესობა აქვთ ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე.

## საინტერესო

# ჟარარაკა

კუნძული მარტინიკა, რომელიც მცირე ანტილის კუნძულთა ჯგუფში შედის, 1502 წელს აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა. მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან კუნძულს დაეპატრონენ ფრანგი კოლონიზატორები, რომლებმაც თითქმის მთლიანად მოსპეს ადგილობრივი მკვიდრნი. კუნძულზე საუკეთესო კლიმატური პირობები იყო და კოლონიზატორებმა იწყეს ბამბის, თამბაქოს, შაქრის ლერწმის, ყავის პლანტაციების გაშენება.

ადრე აქ ვერსად შეხვდებოდით შხამიან გველებს. გასული საუკუნის ოციან წლებში კი კუნძულზე გაჩნდა ჟარარაკა — ასპიტთა მოდგმის ერთ-ერთი სახეობა. ამ ქვეწარმავალს აქვს გარემოსთან ბუნებრივად შეხამების საოცარი უნარი. იგი შეუმჩნევლად ეპარება თავის მსხვერპლს და ელვის სისწრაფით ესხმის თავს. ამ ასპიტის ნაკბენი სასიკვდილოა — ადამიანი თუ ცხოველი თვალის დახამხამებაში იღუპება.

საინტერესო და თანაც სავალალოა მარტინიკაზე ჟარარაკას გავრცელების ისტორია.

მარტინიკისა თუ კარიბის ზღვის აუზის სხვა კუნძულების პლანტაციებში აფრიკიდან ჩამოყვანილი ზანგები მუშაობდნენ: მათ მონებად ყიდულობდნენ ადგილობრივი მიწათმფლობელები.

ზანგებს კატორღული სამუშაოების შესრულება უხდებოდათ. მათ ადამიანებად არ თვლიდნენ. ზედამხედველების შოლტები უმოწყალოდ ნავარდობდნენ შავკანიანთა ზურგზე. ზოგიერთი გაბედული ზანგი ახერხებდა გაქცევას და კუნძულის უსიერ ტევრს აფარებდა თავს.

მიწათმფლობელები დამსჯელ ექსპედიციებს გზავნიდნენ ჯუნგლებში, მაგრამ ამაოდ, შეუძლებელი იყო მათი შეპყრობა — ზანგები ჯუნგლებში ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახლში.

და აი, შურისძიებით დაბრმავებულმა კოლონიზატორებმა მზაკვრულ, საზიზღარ ხერხს მიმართეს. მათ ბრაზილიიდან ჩამოიყვანეს რამდენიმე ასეული ჟარარაკა და იმ ადგილებში გაუშვეს, სადაც ზანგები აფარებდნენ თავს. მონათმფლობელებმა თავისას მიაღწიეს — შხამიანი გველების ნაკბენისაგან უმოწყალოდ იხოცებოდნენ ჯუნგლებში მყოფი ზანგები.

პლანტატორები გამარჯვებას ზეიმობდნენ. ახლა ვერც ერთი ზანგი ვერ გაბედავს ტყეში გაქცევასო, — ამბობდნენ ისინი.

მაგრამ მათი ზეიმი ხანმოკლე გამოდგა. თურმე ჟარარაკას მოსამრავლებლად მარტინიკაზე საუცხოო ბუნებრივი პირობები იყო და შხამიანი ქვეწარმავლები მალე მოედვნენ კუნძულს. მათ ყველგან წააწყდებოდით — პლანტაციებში, ბაღებში, ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში და ბინებშიაც კი. მონათმფლობელთა ეზოები სავსე იყო ამ საშიში ასპიტებით. გველი არ არჩევდა მდიდრებსა და ღარიბებს, იგი ყველგან სიკვდილს თესავდა. ნამდვილი უბედურება დაატყდათ თავს მარტინიკის მცხოვრებთ... ქვეწარმავლების მოსპობის ყოველგვარი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ცხოველი და ფრინველი არ ეპუება შხამიან გველებს და ანადგურებს მათ. ამ თვალსაზრისით მარტინიკაზე ჩაიყვანეს რამდენიმე ასეული მანგუსტი. თავიანთ სამშობლოში — ინდოეთსა და ცეილონზე ეს პატარა მკვირცხლი ცხოველი უმოწყალოდ სპობს ყველა სახის შხამიან ქვეწარმავალს, თვით საშინელ ასპიტს — სათვალიან გველსაც კი ამარცხებს. მაგრამ ჟარარაკასთან მანგუსტი ვერაფერს გახდა — მას არ აღმოაჩნდა ბუნებრივი იმუნიტეტი ჟარარაკას შხამის საწინააღმდეგოდ.

ამის შემდეგ მარტინიკელებმა კიდევ ერთხელ სცადეს გადამწყვეტი ბრძოლა გაემართათ საშიში მტრის წინააღმდეგ. მათ აღმოსავლეთ აფრიკიდან ჩაიყვანეს ერთგვარი ფრინველი, რომელსაც მდივანს ეძახიან. ეს დიდი და ამტანი ფრინველი გაბედულად ესხმის თავს შხამიან გველებს, გლეჯს მათ ნაწილ-ნაწილ და გემრიელად შეექცევა. მაგრამ არც აქ გაუმართლდათ იმედი მარტინიკელებს.

გამოირკვა, რომ ეს ფრინველი ვერ შეეყრება ჟარარაკს. რატომ? — იკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ მდივანი დღისით ნადირობს, ღამით კი იძინებს, ხოლო ჟარარაკა პირიქით — მხოლოდ ღამით ნადირობს, დღისით იმალება და ისვენებს.

კუნძულელები მაინც არ თმობენ და ახალ საშუალებებს ეძებენ ჟარარაკთან საბრძოლველად.



ძაფის გორგალი რომ არ დაიბურდოს, იგი პლასტიკურ ბურთზე უნდა დაახვიო, მთლად უკეთესი იქნება, თუ ბურთს რაიმეზე ჩამოკიდებ (ხელის დაუხმარებლად იტრიალებს).

სამზარეულოში, სახელოსნოში, ან ეზოში გაკეთებული ასეთი ასაკეცი სკამი ძალზე გასიამოვნებს.



თუ კარი მჭიდროდ არ იხურება, ამოჭერი ერთი თითის დადება ფოსო, შიგ საშლელი რეზინა ჩაამაგრე, (ოღონდ, წინასწარ, ზედ კბილანები ამოჭერი) კარი იოლად დაიხურება, ხოლო გაღებისას, ოდნავი ძალდატანება დაჭირდება.





# ყურადღება, სტარტზე!





## ნიშანში სროლა

სროლა მშთ ნორმატივების ერთერთი საინტერესო სახეობაა. მისი ჩაბარება ამორჩევით ხდება. 12-13 წლისანი „ნორჩი მსროლელის" ნიშანზე, პნევმატური შაშხანით ისვრიან. წოლელა მდგომარეობით საჭიროა 5 გასროლით 40 ქულის მოგროვება, ეს ნიშნავს რომ საშუალოდ, თითო გასროლით 8 ქულაზე ნაკლები არ უნდა მოაგროვო.

სანამ თოფს აიღებდე ხელში, დაიმახსოვრე რამდენიმე რჩევა-დარიგება. ეს, ჯერ ერთი კარგი შედეგების მიღწევაში დაგეხმარება და კიდევ იარაღთან სახიფათო „თამაშს" გადაგაჩვევს. გახსოვდეს, პნევმატური თოფითაც კი შეიძლება ადამიანს ხიფათი მოსწიო, ამიტომ 1. თოფის ლულა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიუშვირო ადამიანს, თოფი სრულიად ცარიელიც რომ გეგონოს. 2. თოფი არ დატენო თუ სამიზნესთან ადამიანები დგანან. 3. თოფმა შეიძლება გაისროლოს, თუ კონდახით რაიმეს მოარტყი.

თუ გინდა შენი გასროლილი „ტყვიები" ზუსტად მოხვდეს შავ წრეს, უნდა დაიცვა ყველა ის წესი, რომელიც სროლას უძღვის წინ.

უნდა წამოწვე, ფეხები ფართოდ უნდა გაშალო, კონდახი მხარზე მყარად მოირგო. თოფი მარცხენა ხელისგულით ჰორიზონტალურად უნდა

## სარჩევი


ქავთარია ბ. — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის (წერილი) გარეკ. . . . 2
მერაბიშვილი ელ. — ტრამალი (მოთხრობა. გაგრძელება) . . . 3
ისინი ჩვენი კორესპონდენტები იყვნენ . . . 9
ნაკაშიძე ნ. — მახობელა (მოთხრობა) . . . 10
მიქელაძე მ. — პიონერის ნიშანი (ლექსი) . . . 12
დიდიმამიშვილი ე. „პირველი საშუალო სკოლა" (ლექსი) . . . 13
მიქაძე ქ. — წიგნი (ლექსი) . . . 13
წიქვაძე რ. — ჩვენი ცხოვრების წესისთვის შეუფერებელი (წერილი) . . . 14
აისი . . . 16
ვადაჭკორია დ. — ზღმარტლი (მოთხრობა) . . . 18
ბარტელი ვ. — სტუმრად ბავშვებთან (მოგონება) . . . 20
შენი უცხოელი თანატოლები . . . 21
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე . . . 22
ბებეჭკორი ა. — წლის დილა (წერილი) . . . 24
სოტნიკი ი — როგორ ვიყავი დამოუკიდებელი (მოთხრობა, დასასრული) . . . 25
ჯანბერიძე გ. — საქართველოს სსრ მთავრობის სახლი (წერილი) . . . 28
მხედრიონი . . . 30
საინტერესო თემაზე . . . 31
საზრიანის ხელში . . . 31
ყურადღება, სტარტზე! . . . 32
ცხრაკლიტული. გარეკ. . . . 3



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — რევაზ ცუცქირიძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05, 93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-08, 93-53-05
განყოფილებების—93-97-02, 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ». на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 16/I-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III-76 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 0210 ტირ. 146.850. უე 00673

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

© „პიონერი", 1976 წ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

გააჩერო, ხოლო მარჯვენა კონდახის ყელს ჩასჭიდო. დამიზნებისას ყურადღებით ადევნე თვალი, რათა გვერდითა ჭრილები და სამიზნე ერთ დონეზე იყოს. სამიზნე ქვემოდან უნდა ებჯინებოდეს შავ წრეს. (იხ. ნახატი). თუ ამ წესს არ დაიცავ, იცოდე, სამიზნეს ზუსტად ვერ მოარტყამ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მსროლელები ხშირად უშვებენ ერთი და იგივე სერიოზულ შეცდომას — როგორც კი „დაიჭერენ“ მიზანს, წამსვე, მკვეთრად გამოსდებენ ხოლმე ჩახმახს თითს.

თითის ასეთი [illegible] მოძრაობით, თოფის ლულა გასროლამდე გაქანდება და „ტყვია“ უეჭველად ასცდება მიზანს. ამიტომ თითი ჩახმახს ფრთხილად, ნელა უნდა გამოსდო.



გამოცანები.

1.

თბილ ამინდში შევაგროვე
თეთრი ფიფქები,
მათი მადლით ცივ
ზამთარში
თბილად ვიქნები.

2.

ორი მუნჯი ძმობილი
ერთმანეთს არ ხვდებიან,
რასაც გაიგონებენ,
პატრონს ეუბნებიან.

3.

მღერის უბადლო
ლოტბარი,
პაწაწინა და ენამზე,
მისი ხმა ყველას სმენია,
არვის უნახავს სცენაზე.

გ. ლექავა.

●

1.

მოწინავე საამქროს
მეტალურგი ლადო,
ჩქაროსნული მეთოდით
უშვებს ყველა ნადნობს.
დღეში გვაძლევს
ზეგეგმით
თხუთმეტ ტონა
ლითონს
რვა პროცენტით
ნაკლებს კი
უშვებს ძია მიტო.
დეკადური ნადნობი
შეაჯამე თვითონ.

2.

გაზარდე სამოცდაექვსი
მისი ნახევრით,
ყმაწვილო,
რისთვისაც არითმეტიკა
სულაც არ არის საჭირო.

შ. ამირანაშვილი.

## საიდუმლო ქოხი

ორი ბიჭის საუბარს მოვკარი ყური. ნაამბობი დაუჯერებელი მეჩვენა, მაგრამ იმდენი საინტერესო ამოცანა დაუსვა გადასაჭრელად ერთმა მეორეს, რომ გადავწყვიტე თქვენთვისაც გამეზიარებინა იგი. აი, რა ამბავს ყვებოდა ბიჭი:

...თვალი ამიკრეს და მანქანაში ჩამსვეს. გზაზე თვალსახვევი ჩამომიცურდა და გზისკიდურზე კილომეტრების მაჩვენებელი ბოძი დავინახე. ზედ ორნიშნა რიცხვი ეწერა. ერთი საათის შემდეგ, ისევ დავინახე ბოძი, ახლა ზედ ისევ ის ციფრები იყო გამოსახული, ოღონდ — წინა უკან, უკანა — წინ. ერთი საათის შემდეგ კი მანქანა ისევ შეჩერდა და ამ ბოძს ისევ ის ციფრები ეწერა, ოღონდ მათ შორის, ნული იყო დასმული. იქიდან ტყეში წამიყვანეს. დიდხანს მივყვებოდი ბილიკს და ქოხს მივადექით. ქოხში ჩამკეტეს და სადღაც წავიდნენ. ვისარგებლე მარტოობით, კარი გავტეხე და გამოვიქეცი. ორი დღე ვიხეტიალე ტყეში, ვიდრე გზატკეცილს მივაღწევდი. არ ვიცი, სად გააჩერეს მანქანა და საიდან შევუდექით ბილიკს.

— არ გახსოვს რა ციფრები ეწერა ბოძებზე? — დაინტერესდა მეორე.

— არ მახსოვს. ცუდად ვიმახსოვრებ ციფრებს, — უპასუხა პირველმა ბიჭმა. — ისიც კი არ მახსოვს, რა სისწრაფით მიდიოდა მანქანა. ის კი ვიცი, რომ სულ ერთი სისწრაფით მივქროდით.

— მაშინ მე ვეცდები გავიგო რა ციფრები ეწერა იმ ბოძზე, სადაც მანქანა შეჩერდა. გეტყვი, საიდან უნდა ვეძებოთ ქოხი. — დაჯერებით თქვა მეორემ, — პასუხს ერთი თვის შემდეგ გაცნობებ, — დაუმატა.

გამიკვირდა. ფაქტიურად მას არავითარი მონაცემები არ გააჩნდა, როგორ უნდა გამოეცნო მერამდენე კილომეტრზე გაჩერდა მანქანა?

მოდით, ბავშვებო, ნუ დაველოდებით მის პასუხს, იქნებ თქვენ ამოხსნათ ეს გამოცანა. (რა ციფრები ეწერა პირველ და მეორე ბოძზე, რა ეწერა მესამე ბოძზე, რა სისწრაფით მიჰქროდა მანქანა?)

ლ. ზურაბიშვილი.



თავსატეხი.

გადააადგილეთ ეს რიცხვები ისე, რომ შვეულად, დიაგონალურად და თარაზულად, ცალ-ცალკე რიცხვების ჯამი თხუთმეტს უდრიდეს.

დავით ჩიხლაძე,
თბილისის 80-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

| | | |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 |



სცენა სპექტაკლიდან. (შარლ პეროს პიესა „კონკია“).

ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები.

ირმა მათიაშვილი, 9 წლის.

სცენა სპექტაკლიდან (ე. შვარცის პიესა „შიშველი მეფე“).



ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები.